ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 33
(11 387)

25 – 27 აპრილი, 2000 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



სურათზე: ტურის ცენტრალური მატჩი მცხეთაში „დინამო“ — „ვიტ ჯორჯიას“ შორის გაიმართა. ქორიძე (თეთრ მაისურში) დინამოელების — სახვაძის (მარცხნივ) და გუჩუას გარემოცვაში.

მობილურის ტალღაზეა ანტალია

## ხათუნა ფუტკარაძე გრან-პრის გამარჯვებული

ხათუნა ფუტკარაძე

ანტალიაში დასრულდა გრან-პრის დიდი საერთაშორისო ტურნირი 40 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით. მსოფლიოს უძლიერეს ქალთა შორის ჩინებულად იასპარეზა სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტმა, ბათუმელმა ხათუნა ფუტკარეძემ და გრან-პრი მოიპოვა, რაც უდავოდ სასიხარულო მოვლენაა, რადგან ესოდენ მნიშვნელოვანი წარმატება ოლიმპიადისწინა ასპარეზობაშია მოპოვებული.

## შინ მედლებით



გიორგი წურწუმია

ანტალიამ 1980-83 წლებში დაბადებულთა დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მძიმე წონოსნმა თბილისელმა გიორგი წურწუმიამ წაუგებლად განვლო ტურნირი და ოქროს მედალი მოიპოვა (მწვრთნელი დათო დავითაია). სამ ჩვენ მოჭიდავეს — თბილისელ პაატა ბიწაძეს (54), სოხუმელ გიორგი ბერიძეს (58) და ალექსანდრე დოხტურიშვილს (69) მეორე ადგილები ხვდათ, ერთსაც მესამე — ბათუმელ რამაზ დევაძეს (97).

გუნდურ ჩათვლაში პირველობა მასპინძლებმა — თურქეთის ფალავნებმა მოიპოვეს, მეორე იყო საქართველოს ნაკრები (მწვრთნელები ვლადიმერ ადეიშვილი და ვილენ ხაზაროვი).

ტურნირში 15 ქვეყნის გუნდი მონაწილეობდა.

სამთომოთხილამურეობა

## საქართველოს წარგზავნილები — უძლიერესები!

ევროპაში ზამთრის სპორტის სახეობების, კერძოდ, სამთომოთხილამურეთა აქტიური სეზონი დასრულდა. საერთაშორისო ფედერაციის (ფის) ეგიდით გამართული შეჯიბრებების სერიების ერთ-ერთმა ბოლო ასპარეზობამ თურქეთში, ყარსთან, დაბა სარიკამიშში და ერზრუმში მოუყარა თავი. მონავლებული სეზონის ბოლო აკორდმა ძირითადად 21 წლამდე ახალგაზრდების მონაწილეობით გაიჟღერა. საქართველოს ნაკრების ლიდერმა სოფიკო ახმეტელმა და მისმა მწვრთნელმა გერა აბრამიშვილმა ავსტრიიდან შინ გამომგზავრებულებმა შეიარეს სარიკამიშში, სადაც საქართველოდან ჩასულ ბაკურიანელ და თბილისელ სამთომოთხილამურეებს და მათ მწვრთნელებს შეუერთდნენ.

NAGANO
57
სოფიკო ახმეტელი

სოფიკო ახმეტელი სეზონის ბოლოს ჩინებულ ფორმაში შევიდა, რაც მკაფიოდ დადასტურდა გერმანიაში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის 150 რჩეულ მოთხილამურეთა შორის სოფიკომ პირველ ცდაზე მე-14, მეორეზე კი მე-7 იყო და საბოლოოდ მე-12 ადგილი დაიკავა. თურქეთში გამართულ ასპარეზობაში კი ჩვენ პირველ ოლიმპიელ სამთომოთხილამურე ქალს, ბადალი არ ჰყავდა სლალომსა და გიგანტ სლალომში, ბაკურიანელმა რობერტ მახარაშვილმა კი ერთი I და ერთი II ადგილი დაიკავა (მწვრთნელი გ. ასლანიანი), თბილისელი თენგიზ ბაქრაძე კი ორჯერ გავიდა II ადგილზე. საერთო გუნდურ ჩათვლაში წარმატება ხვდათ საქართველოს წარგზავნილებს (გოგონები — II, ვაჟები — I). ტურნირში 8 ქვეყნის მოთხილამურეები მონაწილეობდნენ.

— თურქეთი შეუპოვრად იბრძვის ქვეყანაში სპორტის ზამთრის სახეობების განვითარებისათვის. ქმნის კეთილმოწყობილ თანამედროვე ბაზებს, საუკეთესო სასტუმროებით და საბაგირო გზებით. მთელი რუსეთის საშუალო ფენა, ვინც გატაცებულია სამთოთხილამურებით, თურქეთს მიაწყდა. ერთი კვირით დასვენება, კვება, სასტუმრო, საბაგირო გზისა და მოსკოვიდან თვითმფრინავით გამგზავრებისა და უკან დაბრუნების ხარჯები მხოლოდ 600 აშშ დოლარი ჯდება. უფრო მდიდრები, ცხადია, ევროპის პრესტიჟულ კურორტებს ამჯობინებენ. გერმანიაში და ავსტრიაში არის ისეთი კურორტები, სადაც დღეში მილიონზე მეტი აშშ დოლარია შემოსავალი. დადგა დრო, ჩვენც ავამოქმედოთ ბაკურიანი, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიოში ყველაზე ცნობილ სათხილამურო ცენტრებსაც კი — თქვა გერა აბრამიშვილმა.

„ბუმათე“ – „ლელო“

## ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ლიგა • II ეტაპი • VIII ტური

### I — VII ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 8 | 4 | 2 | 2 | 19-9 | 32 |
| დინამო (თბ) | 8 | 3 | 5 | 0 | 9-1 | 31 |
| დინამო (ბთ) | 8 | 5 | 1 | 2 | 14-3 | 29 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 4 | 4 | 0 | 7-3 | 28 |
| კოლხეთი (ფ) | 8 | 3 | 2 | 3 | 7-7 | 24 |
| სიონი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-15 | 18 |
| იბერია | 8 | 2 | 1 | 5 | 5-19 | 16 |
| დილა | 8 | 1 | 0 | 7 | 6-19 | 13 |

### IX — XVI ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი | 8 | 6 | 2 | 0 | 10-1 | 28 |
| ლოკომოტივი | 8 | 5 | 2 | 1 | 14-2 | 26 |
| გორდა | 8 | 5 | 1 | 2 | 12-3 | 24 |
| თსუ | 8 | 5 | 0 | 3 | 11-7 | 23 |
| სამგურალი | 8 | 3 | 2 | 3 | 8-6 | 17 |
| არსენალი | 8 | 2 | 0 | 6 | 7-16 | 11 |
| თბილისი | 8 | 1 | 1 | 6 | 5-14 | 11 |
| კოლხეთი (ხ) | 8 | 1 | 0 | 7 | 7-25 | 8 |

16-წლიანთა განმეორებით მატჩში, ბოლნისში, სომეხ თანატოლებთან თენგიზ სულექველიძემ სრულიად ახალი შემადგენლობა გამოიყვანა. მატჩი მოიგეს სტუმრებმა 2-1.

## წომერში:

- ეროვნულმა ჩემპიონატმა მეტი ინტერესი შეიძინა, თითქოს ყველაფერი თავიდან იწყება მედლებისათვის ბრძოლაში, მატჩებს ბევრი მაყურებელი ესწრება...
- **ბათუმის ხელმძღვანელობამ მკაცრად შეაფასა და დაგმო ადგილობრივ „დინამოსა“ და „ვიტ-ჯორჯიას“ მატჩის შემდეგ მომხდარი ფაქტი.**
- ФУТБОЛ-ТВ აკრედიტაციას ითხოვს...
- **ახალი ეროვნული ჩემპიონატიდან გუნდები მოედანზე საფეხბურთო მარშის ქართული მელოდიის მოხმობით გამოვლენ...**
- უეფას პირველი ქართველი ემისარი იმ სტადიონებზეა სტუმრად მიწვეული, სადაც მას ევროპის ჩემპიონატის მატჩებზე დირექტორობა მოუწევს...
- **ერევანში – გადახალისებული ნაკრებით!**
- SOS! ვინ გვტაცებს ნორჩ ფეხბურთელებს?
- **ახალი ამბები სფფ-დან**
- უცხოეთის ფეხბურთის ამბები

კრივი • აჰმედ ჯომარტის XV ტურნირი

## ავთანდილ კაშია მესამე იყო

აჰმედ ჯომარტი სამოყვარულო კრივის თურქი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ეიბა-ს მსაჯთა კომისიის თავმჯდომარე და ცნობილი მეცენატი იყო. სხვადასხვა დროს დიდ არენაზე ამ ტურნირიდან გადადგა პირველი ნაბიჯები საქართველოს არაერთმა წარმომადგენელმა. მათ შორის იყვნენ ჰ. გვასალია, გ. კანდელაკი, რ. ფალიანი და სხვები. ამჯერად 18 ქვეყნის 145 მონაწილე გამოვიდა რინგზე, აქედან 11 საქართველოდან იყო, მასობრიობა და სიძლიერე განაპირობა მოახლოებულმა ოლიმპიურმა თამაშებმა. სამწუხაროდ, ამიტომაც, ჩვენები შინ საამაყო შედეგებით ვერ დაბრუნდნენ, მაგრამ, როგორც მწვრთნელები ამბობენ, გამოცდილება შეიძინეს.

ყველაზე უკეთ ჩვენებიდან იასპარეზა ავთანდილ კაშიამ (57 კგ). პირველი ბრძოლა მან მოუგო მასპინძელ იამან ნაფიზს, ნახევარფინალში სძლია კუბელ ოსვან ზამორას, ფინალში კი სულ რაღაც ერთ ქულით 10:11 დამარცხდა რუსეთელ ალექსეი ხაიდულინთან.

## მილოცვა

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო დაბადების დღეს ულოცავს ვეტერან მესტენდურს, სსრ კავშირისა და ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს სასტენდო სროლაში **ზურაბ მაჩხანელს.**

## სოკი ათენით უკმაყოფილოა...

გახსოვთ ალბათ, საბერძნეთი, ამ 12 წლის წინათ, დაბეჯითებით ითხოვდა, აღორძინებული ოლიმპიური თამაშების 100 წლისთავთან დაკავშირებით 1996 წლის საიუბილეო ოლიმპიადა ათენში გამართულიყო. მაგრამ ბერძნები კონკურენტებთან, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, მაფიასთან ფარულ ბრძოლაში დამარცხდნენ და თამაშები ატლანტამ წაიღო. მერე ერთი ამბავი ატყდა სოკის კორუმპირებული წევრების მოსყიდვასთან დაკავშირებით და ამ ხმაურს ბევრი გადაუვა კიდეც. ბერძნებმა მორალური კომპენსაცია მაინც მიიღეს — 2004 წლის თამაშები ათენში ჩატარდება. მაგრამ ჩატარდება კი? არ გვინდა ვთქვათ, რომ სოკში ატეხილი განგაში ბერძნების ინერტულობის გამო, ჯერ კიდევ მიუვიწყებელი ამბებისათვის ანგარიშსწორების გამოძახილია, მაგრამ ვითარება რომ დამაფიქრებელია, დღეს არავის ეეჭვება. სოკის მოხელეები თამაშებისთვის მომზადების საორგანიზაციო კომიტეტისგან რადიკალური ზომების გატარებას მოითხოვენ. როგორც ჩანს, სპორტული ბაზების და სასტუმროების მშენებლობა-კეთილმოწყობის სამუშაოების ტემპები არადამაკმაყოფილებელია. იმდენად არადამაკმაყოფილებელი, რომ ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაშია ერთი ოლიმპიური ციკლით ადრე, პირველად დგება თამაშების სხვაგან გადატანის საკითხი. თუ ასე მოხდა, ოლიმპიური თამაშების სამშობლო-ქვეყანას, საამაყოსთან ერთად, ისტორიის სამარცხვინო ფურცელიც გარანტირებული ექნებათ.

SYDNEY 2000

# ოლიმპიურ თამაშებს 143 დღე გვაშორებს

მიმდინარე წელი ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობათა წელია. საქართველოს სპორტული და ოლიმპიური ტრადიციების გათვალისწინებით, მასში მონაწილეობა და წარმატებით გამოსვლა არა მარტო სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების, არამედ სახელმწიფოს, მისი ყველა სტრუქტურის ზრუნვისა და ყურადღების საგანი, უფრო სწორად, მოვალეობა უნდა იყოს.

**ედუარდ შევარდნაძე**

## 50 წლის წინათ...

***სტალინირი.*** მოსწავლე კალათბურთელთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო მე-2 სკოლის ჭაბუკთა, ხოლო გოგონებში — მე-3 სკოლის გუნდები.

***სოხუმი.*** შეიქმნა აფხაზეთის სპორტსაზოგადოება „კოლმეურნე".

***ხაშური.*** სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რაისაბჭოს შექმნისას გამოცხადდა, რომ რაიონში გათვალისწინებულია სპორტული დარბაზის მშენებლობა.

***ზუგდიდი.*** სოფ. ორსანტიაში გაიხსნა ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის კომპლექსური სპორტული მოედანი.

***ბორჯომი.*** სათხილამურო სპორტის მოყვარულმა წაღვერის საშ. სკოლის მოსწავლეებმა შეჯიბრებები ჩაატარეს სწრაფდაშვებაში, სლალომში და საკუთარი ძალებით მოწყობილ ტრამპლინიდან ხტომაში.

***ქუთაისი.*** სოფ. გეგუთში გაიხსნა სპორტული დარბაზი.

***ბათუმი.*** აჭარის პირველობაზე ბათუმის, ქობულეთისა და ქედის ძალოსანთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ქობულეთელებმა, მეორე იყო — ბათუმის გუნდი.

***თბილისი.*** კრივში მოსწავლეთა შეჯიბრებაში წარმატება ხვდათ რონდელს, ჩუგუნოვს, წვერავას, არუთინოვს, ციციშვილს და კეკუთიას.

## სტუდენტური დღეები

# კრივმა მეტი ელფერი შესძინა

რომ დარწმუნებულიყავით, რამდენი საინტერესო შეხვედრა დააკლდებოდა მიმდინარე სტუდენტურ დღეებს, ბოლო მომენტში კრივი რომ არ შეეტანათ მის პროგრამაში, ამისათვის ვერის პარკში მდებარე დარბაზში უნდა შეგეხედათ... არადა, ეს სრულიად შესაძლებელი იყო რომ არა საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტის, კრივის დიდი ქომაგის, აკადემიკოს როინ მეტრეველის თანადგომა, რომელმაც მხარი დაუჭირა ფედერაციის გენერალური მდივნის გივი მძელურის წინადადებას „სტუდენტური დღეების" პროგრამაში კრივიც ჩაერთოთ.

რინგზე შეხვედრები კი მრავალმხრივ იყო საგულისხმო. ჯერ ერთი, ჩვენში აღსდგა ერთ დროს საკმაოდ პოპულარული პირველობა სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობაში უმაღლეს სასწავლებლებს შორის, რომელიც 1997 წლის შემდეგ გაქრა თვალსაწიერიდან, მეორეც, მან შეინარჩუნა, თუ შეიძლება ითქვას, სტუდენტური კრივის სახე, რომელშიც „გააზრებული ბრძოლა" უფრო სჭარბობს „შიშველ" მუშტი-კრივს. და კიდევ, საქართველოს „რუკაზე" მტკიცედ დამკვიდრდა კრივის კიდევ ერთი ცენტრი, რომელიც ადრე მორიდებული წარმატებებით თუ მიიქცევდა ყურადღებას, ახლა კი მან საკმაოდ წონადი სიტყვა თქვა და ტოლი არ დაუდო დიდი ხნის აღიარებული ცენტრების წარმომადგენლებს, მათთან ჭიდილში მესამე საპრიზო ადგილს შესწვდა. ლაპარაკია თელავის უნივერსიტეტის გუნდზე, რომლის სტუდენტები გურჯაანის სპორტსკოლის მწვრთნელების გიორგი ყჩიაშვილისა და თამაზ ლაზაშვილის შეგირდები არიან. თელავის უნივერსიტეტზე (27,5 ქულა) წინ არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (57) და საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის (45) გუნდები.

თეატრის მომავალი მსახურისათვის უჩვეულო „როლში" მოგვევლინა ფოთის ცნობილი კრივის სკოლის აღზრდილი 60 კგ წონის ჯანსუღ იზორია, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი პაატა გვასალია ავარჯიშებს. ახლა იგი საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტია.



**51 კგ:** 1. ნიკო ჯანჯღავა (თსუ), 2. ქანი ბაზგოიანი (ბათ. ფიზ. ინსტიტ), 3. კახა ტყებუჩავა (სოხ. უნივერს.); **54 კგ:** 1. ზურაბ კენკებაშვილი (ფიზ. აღ. აკად.), 2. კობა ავაზაშვილი (თელ. უნივ.), 3. გიორგი ბერკაციშვილი (სტუ), მანუჩარ დუმბაძე (ბათ. ფიზ. ინსტ.); **57 კგ:** 1. ზაზა ლაზაშვილი (თელ. უნივერ.), 2. სერგო განჯელაშვილი (სტუ); **60 კგ:** 1. ჯანსუღ იზორია (თეატრ. ინსტიტ.), 2. მიხეილ მელიქიშვილი (ფიზ. აღზრ. აკად.), 3. გიორგი ზაკუტაშვილი (თსუ), ანზორ გორაძე (ბათ. აგრარ. ინსტ); **63,5 კგ:** 1. გიორგი მგელაძე (ფიზ. აღზრ. სპ. აკად.), 2. გოჩა შეყილაძე (სტუ), 3. პაატა ბოლქვაძე (ბათ. უნივერ.), ნუკრი მესაბლიშვილი (თსუ); **67 კგ:** 1. რეზო ბოჭორიშვილი (თსუ), 2. გოჩა აბაშიძე (ბათ. უნივ.); **71 კგ:** 1. აბო ქათამაშვილი (თელ. უნივ.), 2. ლევან ჯანჯღავა (თსუ), 3. დავით გოგიჩაიშვილი (ფიზ. აღზრ. სპ. აკად.); **75 კგ:** 1. დავით წიკლაური (ფიზ. აღ. სპ. აკად.), 2. ლევან ბოჭორიშვილი (თსუ), 3. აკაკი ჭარბაძე (პოლიციის აკად.), იოსებ ბასილაშვილი (თელ. უნივ.); **81 კგ:** 1. მირიან სუხიშვილი (თსუ), 2. გოგიტა ხაჭაპურიძე (თელ. უნივ.), 3. ლევან ბუკია (სოხ. უნივ.); **91 კგ:** დავით გეგეშიძე (თსუ), 2. გიორგი მახარაშვილი (ფიზ. აღზ. სპ. აკად.); **+91 კგ:** 1. შალვა გოგოლაძე (ფიზ. აღზ. სპ. აკად.), 2. რამაზ რუხაძე (თსუ), 3. ნუგზარ გოგროჭიძე (სოხ. უნივ.)

ჟიურიმ საუკეთესო ტექნიკურ მოკრივედ დაასახელა თსუ-ს სტუდენტი რეზო ბოჭორიშვილი, რომელსაც გადაეცა სპეციალური პრიზი.

**უშანგ ჩიჩინაძე**

# გურჯაანელებმა პიატიგორსკშიც ისახელეს თავი

თბილისში „სტუდენტურ დღეებში" მონაწილეობამდე, გურჯაანელი მოკრივეები ზ. ლაზაშვილი და ა. ქათამაშვილი ქ. პიატიგორსკში, იქაური მკვიდრის, შესანიშნავი არბიტრის ბორის სავინის მემორიალურ ასპარეზობაშიც ისახელეს თავი და ამ დიდ საერთაშორისო ტურნირში — 38 ქვეყნის მონაწილეობით პირველობა არავის დაუთმეს თავიანთ წონებში — 54 და 71 კგ-ში ზაზას სპეციალური პრიზიც ერგო საუკეთესო ტექნიკისათვის.

## როგორ გადავარჩინოთ ქართული სპორტი. რას ფიქრობენ პარლამენტარები

# პარლამენტარი — არმაზ შამანაური

*დაიბადა* 1957 წლის 25 ივნისს თბილისში.

*თავისუფალი სტილით ჭიდაობაში* ვარჯიში დაიწყო 1970 წელს ცნობილ მწვრთნელ შალვა ნოზაძესთან. პირველ წარმატებას მიაღწია 1972 წელს — გახდა თბილისის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის. 1973 წელს უძლიერესი იყო საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე. 1975 წელს მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა ახალგაზრდებში, იგივე ტიტულს დაეუფლა 1976 წელს მოზრდილთა შორის, ხოლო იმავე წელს სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" საკავშირო ჩემპიონატის III პრიზიორია. 1977 წელს დაიკავა I ადგილი საქართველოს სტუდენტთა უნივერსიადაზე. 1979 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი. განაწილებით მუშაობა დაიწყო გორკის ავტოქარხანაში მთავარ კონვეიერზე ჯერ ოსტატად, შემდეგ უფროს ოსტატად და ცვლის უფროსად. 1983 წელს საქართველოს კომკავშირის ცკ-ს მოწვევით დაბრუნდა სამშობლოში და მუშაობა დაიწყო თბილისის ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკის ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნად, 1985-89 წლებში პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი და ამავე რაიკომის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგეა. 1989-90 წლებში იყო ვაკის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე. 1991 წელს მუშაობდა მრეწველობის სამინისტროში სპეციალისტ-ექსპერტად და ამავე სამინისტროს სახელმწიფო კონცერნ „ელექტროტექმრეწვის" უფროსის მოადგილედ. 1992 წლის მარტიდან ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილეა, 1995 წლის აპრილ-მაისის თვეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილეა მცხეთა-თიანეთის მხარეში. 1995-99 წლებში მცხეთის რაიონის გამგებელია.

*1999 წლის 31 ოქტომბრიდან* არჩეულია საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატად მცხეთის რაიონიდან. არის მთანი რეგიონებისა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ჰყავს მეუღლე და ქალ-ვაჟი.

● ***ბატონო არმაზ, ქართულ სპორტში შექმნილმა კრიზისმა გლობალური ხასიათი მიიღო. იგი თანაბრად შეეხო როგორც ცენტრს, ასევე რეგიონებს. თქვენ, სულ ცოტა ხნის წინათ, მცხეთის რაიონის გამგებელი ბრძანდებოდით, ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, მკითხველთათვის საინტერესო იქნება გვიამბოთ თუ, როგორ შეეხო კრიზისი მცხეთის რაიონს და რა ზომები მიიღეთ მდგომარეობის გამოსასწორებლად?***

— კრიზისი ქვეყანაში შეეხო არა მხოლოდ სპორტს, არამედ ყველა სფე-

იხ. მე-7 გვ.

# საქართველოს რეკორდები მძლეოსნობაში

## ვაჟთა რეკორდები

### რბენა 3000-5000-10000 მეტრზე და მარათონული რბენა (42.195 მ)

1982 წლამდე 5000 და 10000 მეტრზე რბენაში საქართველოს რეკორდების დონე საგრძნობლად ჩამორჩებოდა იმდროისათვის არსებულ საერთაშორისო შედეგებს. 1982-1990 წლებში ახალგაზრდა თბილისელმა მორბენალმა, ოლეგ სტრიჟაკოვმა საქართველოს სპორტსმენთაგან პირველმა შეძლო საკავშირო და მსოფლიო არენაზე გასვლა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვიტალი ქადეიშვილი), მან 4-ჯერ 5000 მეტრზე და 3-ჯერ 10000 მეტრზე გააუმჯობესა საქართველოს რეკორდები. ამავე დროს იგი ამ დისტანციებზე გახდა სსრკ და ხალხთა ბოლო სპარტაკიადის ჩემპიონი. გაიმარჯვა მრავალ საერთაშორისო ტურნირში, მონაწილეობა მიიღო ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში.

საერთოდ, უკანასკნელ წლებში აღინიშნება გრძელ მანძილებზე რბენისადმი ინტერესის დაქვეითება. რესპუბლიკურ ჩემპიონატებზე ამ სახეობებში 2-3 მონაწილეს თუ ვიხილავთ ხოლმე. მარათონულ დისტანციაზე კი შეჯიბრებები იშვიათად ტარდება. საქართველოს ჩემპიონატი უკანასკნელად 1987 წელს ჩატარდა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ თითქმის გაუქმდა რესპუბლიკაში გზატკეცილებზე 20, 25, 30 კმ-ზე შეჯიბრებების ჩატარების პრაქტიკა. ამიტომაა, რომ აქ საქართველოს მიღწევები ძირითადად 1958-1962 წლებშია მოპოვებული *(ცხრილი 5)*.

### რბენა 3000 მეტრზე

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიკოლოზ დავიდენკო | თბ. „ბურევესტნ." | 8.32,4 | 1967 |
| ოლეგ სტრიჟაკოვი | თბ. „დინამო" | 7.56.10 | 1984 |

### რბენა 5000 მეტრზე

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიკოლოზ დავიდენკო | თბ.„სპარტაკი" | 14.24.0 | 1969 |
| ნიკოლოზ დავიდენკო | თბ. „სპარტაკი" | 17.17.8 | 1970 |
| არტაშეს მიქოიანი | თბ. „ლოკომოტ." | 14.11.2 | 1972 |
| მიხეილ შაპოვალოვი | თბ, „ბურევესტნიკი" | 14.05.0 | 1979 |
| ოლეგ სტრიჟაკოვი | თბ, „ბურევესტნიკი" | 14.04.8 | 1982 |
| ოლეგ სტრიჟაკოვი | თბ. „დინამო" | 13.51.13 | 1983 |
| ოლეგ სტრიჟაკოვი | თბ. „დინამო" | 13.39.4 | 1984 |
| ოლეგ სტრიჟაკოვი | თბ. „დინამო" | 13.29.4 | 1985 |

### რბენა 10000 მეტრზე

| | | | |
|---|---|---|---|
| ვიქტორ ნესტერენკო | თბ. „კოლმეურნე" | 30.14.2 | 1972 |
| ვიქტორ ნესტერენკო | რუსთავი „განთიადი" | 30.13.2 | 1972 |
| ვიქტორ ნესტერენკო | რუსთავი „განთიადი" | 28.49.2 | 1973 |
| ოლეგ სტრიჟაკოვი | თბ. „დინამო" | 28.23.80 | 1984 |
| ოლეგ სტრიჟაკოვი | თბ.„დინამო" | 28.23.70 | 1985 |
| ოლეგ სტრიჟაკოვი | თბ.. „დინამო" | 28.16.15 | 1990 |

### მარათონული რბენა (42.195 კმ)

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიკოლოზ ევსეევი | თბ. „კოლმეურნე" | 2.24.32.0 | 1963 |
| ვენიამინ სემიონოვი | ბათუმი „დინამო" | 2.23.18.0 | 1968 |
| გიგლა ხუფაცარია | თბ. ასკ | 2.23.11.0 | 1977 |
| იური ციგულიოვი | თბ .ასკ | 2.21.23.0 | 1983 |
| ვალერი გედევანიშვილი | თბ. პროფკავშ. | 2.19.12.0 | 1987 |

### რბენა 20 კმ. (გზატკეცილი)

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიკოლოზ ევსეევი | თბ. „კოლმეურნე" | 1.04.08.0 | 1963 |
| იური ციგულიოვი | თბ. ასკ | 1.02.34.0 | 1987 |

### თარჯრბენი 110-200-400 მეტრზე

1971-1973 წლებში 110 მეტრზე თარჯრბენში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ელენე გოკიელის აღზრდილმა, საბჭოთა კავშირისა და ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონმა. სხვადასხვა პრესტიჟულ ტურნირებში გამარჯვებულმა ანატოლი მოშიაშვილმა, რომელმაც საქართველოს რეკორდი რამდენჯერმე გააუმჯობესა; მისი რეკორდი (13,73) დღესაც გადაულახავია. 200 და 400 მეტრე თარჯრბენში ბადალი არ ჰყავდა ქუთაისელ სპორტსმენს იური კოზელსკის (მწვრთნელი ედუარდ ალიშანოვი), რომელმაც 6-ჯერ დაამყარა საქართველოს რეკორდი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად საქართველოს რეკორდი 400 მ თარჯრბენში მასვე ეკუთვნის. იგი უდრის 50.7 წამს და დამყარებულია 1968 წელს. მასვე ეკუთვნის 200 მეტრზე თარჯრბენში რეკორდი, რომელიც აჩვენა 1967 წელს — 23.01 *(ცხრილი 6)*.

### საქართველოს რეკორდების ზრდა თარჯრბენში 110 მეტრზე

*ცხრილი 6*

| | | | |
|---|---|---|---|
| იური დიაჩკოვი | თბ. „დინამო" | 14,2 | 1969 |
| იური დიაჩკოვი | თბ. „დინამო" | 14,1 | 1970 |
| ანატოლი მოშიაშვილი | თბ. „დინამო" | 13.9 | 1971 |
| ანატოლი მოშიაშვილი | თბ. „დინამო" | 13.7 | 1971 |
| ანატოლი მოშიაშვილი | თბ. „დინამო" | 13.7 | 1973 |
| ანატოლი მოშიაშვილი | თბ. „დინამო" | 13.6 | 1975 |
| იგორ ივანოვი | თბ. „დინამო" | 13.6 | 1989 |
| გელა ვეშაპიძე | თბ. „შევარდენი" | 13.6 | 1989 |

### თარჯრბენი 200 მეტრზე

| | | | |
|---|---|---|---|
| ედუარდ ლომთაძე | თბ. „სპარტაკი" | 23.7 | 1965 |
| იური კოზელსკი | ქუთაისი „დინამო" | 23.1 | 1967 |

### თარჯრბენი 400 მეტრზე

| | | | |
|---|---|---|---|
| ჯემალ სხულუხია | თბ. „კოლმეურნე" | 54.1 | 1963 |
| იური კოზელსკი | ქუთაისის „დინამო" | 53.6 | 1965 |
| იური კოზელსკი | ქუთაისის „დინამო" | 53.1 | 1965 |
| იური კოზელსკი | ქუთაისის „დინამო" | 51.9 | 1966 |
| იური კოზელსკი | ქუთაისის „დინამო" | 50.9 | 1968 |
| იური კოზელსკი | ქუთაისის „დინამო" | 50.7 | 1968 |

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" 29-32.

IFK-ის საქართველოს ფედერაციამ შიდა შესარჩევი ტურნირი გამართა (ნოკდაუნ — კიოკუშინ კარატეში), რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს ღია ჩემპიონატისათვის მზადებას. ეს შეჯიბრება მაისის ბოლო რიცხვებშია დაგეგმილი. ასპარეზობაში 9 კლუბის 130-ზე მეტი 7-დან 25 წლამდე ასაკის კარატისტი მონაწილეობდა, მათ შორის გოგონებიც. ბრძოლები სრული კონტაქტით გაიმართა მსაჯთა კოლეგიას უძღვებოდა პირველი დანის მფლობელი გელა გელაშვილი.

**მიხეილ ქარელიძე,**

*სურათზე: გუნდურ პირველობაში გამარჯვებული წმინდა გიორგის კლუბი (ხელმძღვანელი კახაბერ კეკაბაძე).*

*რობერტ ბაგოიანის ფოტო.*

ქართული ფეხბურთი
GEORGIAN FOOTBALL FEDERATION
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოძახილი

# საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ მერაბ ჟორდანიას!

მოგახსენებთ, რომ 2000 წლის 14 აპრილს საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის თბილისის „ვიტ ჯორჯიასა“ და ბათუმის „დინამოს“ შორის მორიგი კალენდარული მატჩის შემდეგ მაყურებელთა ერთმა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა უკმაყოფილება გამოხატა მსაჯობის მიმართ, და „დინამოს“ სტადიონის შენობის რამდენიმე ოთახს ქუჩიდან დაუშინა ქვები. დაზიანდა მსაჯებისათვის განკუთვნილი ოთახის ფანჯრის მინები, ავტოსადგომზე გაჩერებული ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა კუთვნილი მსუბუქი ავტომანქანები. ეს ფაქტი დროულად იქნა აღკვეთილი პოლიციის მიერ. ჯგუფი გაყვანილ იქნა სტადიონისა და მისი მიმდებარე ტერიტორიიდან. მატჩის დამთავრებიდან საათნახევრის შემდეგ პოლიციის ესკორტმა „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელთა ავტობუსი ქალაქიდან გააცილა. ქალაქის გასასვლელში მოზარდთა ერთმა ჯგუფმა ქვები დაუშინა მიმავალ ავტობუსს, რითაც ჩაიმტვრა ავტობუსის მინები. ამ ინციდენტის დროს არავინ დაშავებულა.

ბათუმის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ და ქალაქის პოლიციამ „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელთა გადასაყვანად გამოყო ახალი ავტობუსი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო ხულიგნობის ფაქტთან დაკავშირებით აწარმოებს ძიებას. დამნაშავე პირები დაისჯებიან.

ინცინდენტის დროს საფეხბურთო კლუბ ბათუმის „დინამოს“ შენობის ჩამსხვრეულ ფანჯრებს და კლუბ „ვიტ ჯორჯიას“ ავტობუსის მინებს, აღადგენს კლუბი ბათუმის „დინამო“.

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარებამ ახალი სისტემით, გუნდებს შორის პაექრობა უფრო საინტერესო და დაძაბული გახადა, რაც მატჩების შემდეგ წესრიგის უზრუნველყოფის აუცილებლობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მერიამ სათანადო დასკვნები გააკეთა და არწმუნებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომ შემდეგში ანალოგიური ინციდენტი აღარ განმეორდება, როგორც სტადიონის, ასევე ქალაქის ტერიტორიაზე.

**ქალაქ ბათუმის ვიცე-მერი ლ. ადეიშვილი**

## გამოხმაურება წერილზე „უეფა სტრუქტურების რეორგანიზაციის გზაზე“

**წერილი რედაქციას!**

თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი „უეფა სტრუქტურების რეორგანიზაციის გზაზე“. ფეხბურთის მომავალი ყველას გვაღელვებს და მივესალმებით სიახლეებს. თუ გაქვთ შესაძლებლობა, ძალიან გთხოვთ, უფრო დაწვრილებით გაგვაცნოთ რა სიახლეებზეა ლაპარაკი და როგორ აისახება ეს ცვლილებები უეფას წევრ ეროვნული საფეხბურთო ორგანიზაციებისა და საფეხბურთო კლუბების საქმიანობაზე.

პატივისცემით, ნოდარ ქავსაძე
ფეხბურთის გულშემატკივარი,
თბილისი.

**რედაქციისაგან:**

**გასაგებია თქვენი დაინტერესება ჩვენს საერთო, ევროპის საფეხბურთო ოჯახში მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებით. უეფას დოკუმენტებში ფორსის პროექტთან დაკავშირებით აღნიშნულია ის მოტივებიც, რამაც დღის წესრიგში დააყენა „ახალ საუკუნეში ევროპული ფეხბურთის რეორგანიზაციის პროექტის“ (ფორს) შემუშავება. მთავარ არგუმენტად მოტანილია ის, რომ ფეხბურთი ევროპაში გახდა უფრო დინამიური, მოექცა ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში და პირდაპირ კავშირშია იმ სოციალურ-ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ გარემოსთან, რომელშიაც ის არსებობს. ხაზგასმულია, რომ ფეხბურთი იქცა ერთ-ერთ უმთავრეს ბიზნესად ევროპაში, გვევლინება მძლავრ კომერციულ და სოციალურ ფაქტორად, რომელმაც თავის ორბიტაში მოიქცია ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფები, რომლებსაც ფეხბურთში აქვთ ფინანსური და სხვა ინტერესები.**

**უეფა იღებს პასუხისმგებლობას, რომ ის დაიცავს ეროვნული საფეხბურთო ორგანიზაციების, პროფესიული კლუბებისა და ლიგების, მოყვარულ ფეხბურთელთა, პროფესიონალთა, ფეხბურთის გულშემატკივართა და ენთუზიასტთა ინტერესებს. ეს უკვე ბევრს ნიშნავს და მის სიკეთეს უეფას წევრ ყველა ქვეყნებში იგრძნობენ.**

**ითვალისწინებს რა ფეხბურთის სპეციალისტთა და გულშემატკივართა დიდ დაინტერესებას, ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში ზემოხსენებული პროექტის შესაბამისად შემუშავებულ უეფას ახალ სტრუქტურის სქემასაც გაგაცნობთ.**

## სფფ-ს ოპერატიულ თათბირზე...

სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარემ ანატოლი მილჩენკომ ყურადღება გაამახვილა მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში სათამაშო ბურთების გამო სტუმარი გუნდების პრეტენზიები, რომელიც მეტწილად სამართლიანია, რადგან მასპინძლები, რომლებიც ვალდებულნი არიან ბურთებით უზრუნველყონ მატჩი, ხშირად მათთვის „შეჩვეული“ ბურთებით თამაშს სთავაზობენ მეტოქეს, ამიტომ მკაცრად უნდა იქნეს დაცული საერთო წესი. განვლილი ტური მილჩენკომ დადებითად შეაფასა, მაგრამ აღნიშნა, რომ ერთ-ერთ მატჩზე, პოლიციის მაღალჩინოსანი მატჩის კომისარმა აიძულა სამოქალაქო ფორმა უნიფორმით შეეცვალა, წინააღმდეგ შემთხვევაში მატჩი არ დაიწყებოდა. მოთხოვნა შესრულდა.

საშეჯიბრო კომიტეტის თამჯდომარემ გია ფირცხალავამაც თავის მხრივ დამაკმაყოფილებელი შეფასება მისცა განვლილ ტურს. აღნიშნა, რომ ამ ტურის შედეგებით ჩემპიონატი უფრო დაძაბული და საინტერესო გახდა. ყველაფერი თითქოს თავიდან იწყება, მაყურებელმაც იმატა ტრიბუნებზე. ახალი ჩემპიონატიდან კი გუნდებს მოედანზე საფეხბურთო მარშის ქართული მელოდია მოუხმობთ.

თათბირზე აღინიშნა, რომ 16 წლიანთა განმეორებითი მატჩი სომხეთის ნაკრებთან მაღალ დონეზე ჩატარდა ბოლნისში. რაიონის გამგებელმა ზ. ჯაფარიძემ საამისოდ ყველაფერი გააკეთა.

ოპერატიულ თათბირს სფფ-ს გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია უძღვებოდა.

# ახალი ამბები სფფ-დან

კენესკრამ ევროპის მე-2 ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მინიფეხბურთში ქართველებს მეტოქედ ესპანეთი და იუგოსლავია არგუნა. ჩვენი ნაკრები G ჯგუფში მოხვდა. შესარჩევი მატჩები 2000 წლის 1 სექტემბრიდან 31 ოქტომბრამდე უნდა ჩატარდეს. ფინალურ ტურნირს, რომელიც 2001 წლის თებერვლის ბოლოს გაიმართება, რუსეთი უმასპინძლებს. გუნდები ჯგუფებში ასე განლაგდნენ:

**A ჯგუფი**
ხორვატია
სლოვენია
მაკედონია
საფრანგეთი

**B ჯგუფი**
ანდორა
უკრაინა
ფინეთი
ლატვია

**C ჯგუფი**
უნგრეთი
ჰოლანდია
აზერბაიჯანი
ლიტვა

**D ჯგუფი**
ჩეხეთი
ბელგია
სლოვაკეთი
სომხეთი

**G ჯგუფი**
ესპანეთი
იუგოსლავია
საქართველო

**E ჯგუფი**
პოლონეთი
პორტუგალია
ისრაელი
საბერძნეთი

**F ჯგუფი**
იტალია
ბოსნია-ჰერცოგოვინა
ბელარუსი.

ჯგუფებში პირველად დასახელებული ქვეყნები შესარჩევ ტურნირებს უმასპინძლებენ.

## დავით პეტრიაშვილი უეფას ემისარი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე დავით პეტრიაშვილი მიპატიჟებულია ჰოლანდიის ქალაქ არნემში ჰოლანდია-შოტლანდიის ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგურ მატჩზე. მიზეზი მისი სტუმრობისა ტიტების ქვეყანაში, როგორც ადრე გაუწყეთ, ის გახლავთ, რომ დავით პეტრიაშვილი ევროპის ჩემპიონატზე ზუსტად ამ ქალაქის „უელერდომის“ სტადიონზე გასამართი მატჩების დირექტორი იქნება. და ეს ვიზიტი ფაქტიურად სტადიონის ინფრასტრუქტურის და სამატჩო ატმოსფეროს შესწავლა-გაცნობას ისახავს მიზნად. შეგახსენებთ, რომ იგი უდირექტორებს A, C და B ჯგუფის მატჩებს: 11 ივნისი თურქეთი — იტალია; 17 ივნისი რუმინეთი — პორტუგალია; 21 ივნისი სლოვენია — ნორვეგია.

## საქართველოს ეროვნული ნაკრების დაზუსტებული შემადგენლობა

სერგო ჭურაძე — ვიტ-ჯორჯია
დავით გვარამაძე — კრილია სოვეტოვი
სოსო გრიშიკაშვილი — დინამო
ზურაბ ხიზანიშვილი — უგუნდოდ
ლევან სილაგაძე — ალანია
გიორგი ნემსაძე — დინამო
ზურაბ მენთეშაშვილი — სკონტო
გიორგი დემეტრაძე — დინამო (კიევი)
რატი ალექსიძე — ჩელსი
ალექსანდრე რეხვიაშვილი — სკონტო
დავით ჩალაძე — სკონტო
თენგიზ სიჟინავა — დინამო
გივი დიდავა — დინამო
მიხეილ ყაველაშვილი — ციურიხი
ზურაბ იონანიძე — ტორპედო
გიორგი ჩიხრაძე — ლოკომოტივი
არჩილ სახვაძე — დინამო
სევასტი თოდუა — ვიტ-ჯორჯია
ლევან მიქაძე — ლოკომოტივი

ნაკრები დღეს დილით მიემგზავრება ერევანში. ჩვენი ორივე ნაკრები დაბინავდება ერევნის სასტუმრო „ანში“.

## გვეწვევიან ФУТБОЛ+TV-ს ჟურნალისტები

ცნობილი სატელევიზიო გადაცემის **ФУТБОЛ+TV**-ს რედაქციამ ფაქსი გამოუგზავნა სფფ-ს. რედაქცია ითხოვს თბილისის „დინამოსა“ და ფოთის „კოლხეთის“, აგრეთვე ქუთაისის „ტორპედოსა“ და ბათუმის „დინამოს“ მატჩებზე ჟურნალისტთა აკრედიტაციას. მანამდე რუსეთელი კოლეგები საქართველო – სომხეთის ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს დაესწრებიან ერევანში.

ჩვენი ფეხბურთისადმი **ФУТБОЛ+TV**-ს დაინტერესება განაპირობა იმან, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეროვნული ჩემპიონატების ჩატარება ყველაზე ადრე ჩვენში დაიწყო და წლეულს X საიუბილეო გათამაშებაა. არჩევანიც გასაგებია, თბილისის „დინამოსა“ და ფოთის „კოლხეთის“ მატჩით გაიხსნა ეროვნული ჩემპიონატი 10 წლის წინათ. ამასთან, ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ჩვენი ჩემპიონატი სწორედ ახლა შევიდა ყველაზე დაძაბულ ფაზაში.

## SOS

# ბავშვებს გვპარავენ...

მართლაც, რომ საგანგაშო და აღმაშფოთებელი ამბები ხდება საქართველოში: ის აღარ ვიკმარეთ, რომ საუკეთესო ფეხბურთელები უწყვეტ ნაკადად მიედინებიან უცხოეთში და ახლა მათ კვალს ჯერ კიდევ მთლად უმწიფარი, ნორჩი ფეხბურთელები გაუყენეს „მამლუქებად“ „მათზე მზრუნველმა“ უფროსმა მესვეურებმა.

საშინელი ფაქტები გახდა ცნობილი ახლახან გამართულ სფფ-ს აღმასკომის სხდომაზე. ვის, თუ არა, ისევ და ისევ სფფ-ს უნდა დაერისხა განგაშის ზარები და დაარისხა კიდეც. აზრთა სხვადასხვაობაში მრავალი მოტივაცია დაფიქსირდა, მათ შორის სოციალურიც, მაგრამ ვერანაირი მიზეზი ვერ გაამართლებს ჩვენი ბავშვების სამშობლოდან მოწყვეტას, რაშიც თურმე, თვით მწვრთნელებიც სცოდავენ. მშობლებთან და უცხოეთის კლუბებთან ფარული გარიგებით ფორმდება მეურვეთა კონტრაქტები, რის შედეგად არაერთი მოზარდი აღმოჩნდა უცხოეთში. ეს პროცესი დღესაც გაცხოველებით მიმდინარეობს. რა შეიძლება დაუპირისპირდეს სამშობლოდან ჭაბუკთა მიგრაციას?

ჯერჯერობით არავითარი საკანონმდებლო ბაზა არ გაგვაჩნია და ეს არის უპირველესი ხელშემშლელი მიზეზი. სფფ სერიოზულადაა შეშფოთებული თავჩენილი მანკიერებით და, მისივე გადაწყვეტილებით, ამიერიდან საგანგებო კომისია იმუშავებს, რათა შეიმუშავოს და შესაბამის ინსტანციებში წარადგინოს საკანონმდებლო ბაზის პროექტი. „ბავშვთა ლიგის“ შემოღებამაც ქვეყანაში გარკვეულწილად ხელი უნდა შეუწყოს ამ პროცესის დარეგულირებას. იგეგმება სხვა ღონისძიებებიც. ცდუნებას აყოლილი მშობლები და მწვრთნელები, მოზარდების ჯანმრთელობასაც არ უფრთხილდებიან. ბავშვთა ფორსირებულმა მზადებამ და მოზარდი ორგანიზმისთვის მიუღებელმა დატვირთვებმა, არაერთი ნორჩი ფეხბურთელი გამოიყვანა მწყობრიდან. როგორც არასდროს იმრავლა ტრავმებმა.

როგორც ხედავთ, მეტის დახანება მართლაც შეუძლებელია...

## მეცენატები

# შერისხულნი...

## ანუ, რატომ უნდა ისჯებოდნენ ადამიანები სიკეთისათვის?

იყო ასეთი კაცი, **ზაურ გაბრიჭიძე**. 90-იანი წლების დასაწყისში თერჯოლის ავტოსატრანსპორტო გაერთიანებას ხელმძღვანელობდა. რა პერიოდი იყო გახსოვთ, ალბათ, — ნგრევა, შფოთი, უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირე, იმავდროულად ეს ის ხანაა, როცა თბილ, „გემრიელ“ ადგილებზე მოკალათებულმა ცალკეულმა თანამდებობის პირებმა დრო იხელთეს და აუარებელ სახელმწიფო ქონებას დაეპატრონენ, გასუქდნენ, ირგვლივ მყოფნიც გაამდლეს უბრალო, მუშახალხის ხარჯზე, რასაკვირველია. საბედნიეროდ, ყველა ხელმძღვანელი ასე არ იქცეოდა, შინ წასაღებს კეთილ საქმეს ახმარდა.

„კალენიკოვიჩს“ (ასე სიყვარულით მიმართავდნენ ზაურ გაბრიჭიძეს თერჯოლელები) ერთი სისუსტე ჰქონდა, რომელსაც სახელად ფეხბურთი ერქვა. უყვარდა არა „მილანი“, „აიაქსი“, „დინამო“ და მისთანები, არამედ მშობლიურ „საპონელაზე“ გიჟდებოდა. დამოუკიდებლობამოპოვებულ ქართულ ფეხბურთს ერთგულ ჯარისკაცად დაუდგა მხარში და სხვა კლუბების პრეზიდენტებისა არ იყოს, თავის თავზე გადაიტანა საორგანიზაციო პრობლემები: იქ, სტადიონს მიხედე, ტრიბუნები კეთილმოაწყვე, საფეხბურთო მინდორი მავთულბადით ხალხს განარიდე, თანაც გუნდს ფინანსური და ყოფითი პრობლემები გადაუწყვიტე, გარდა ამის, მატჩებზე ჩამოსულ მსაჯებსა და ინსპექტორებს უპატრონე...

მოკლედ, სანამ იყო „კალენიკოვიჩი“ „საპოვნელას“ არაფერი უჭირდა და ზედმეტი პრობლემების გარეშე თერჯოლელებმა პირველი ჯგუფიდან უმაღლესში ამოჰყვეს თავი. აი, აქ კი დაიწყო უბედურება — მზამზარეულზე ბევრს გაუჩნდა გუნდის დაპატრონების სურვილი. კლუბის საწყალი პრეზიდენტი ინტრიგებში გახვიეს, გულიატკინეს და ნერვიულობას გადაჰყვა კიდეც. აი, ასე იციან ჩვენში ამაგის დაფასება.

მოდით ახლა ფეხბურთის სხვა მეცენატიც გავიხსენოთ. **თამაზ ბერიძე** ანუ ხალხში უბრალოდ, „ჩორნა“ ახალგაზრდობაში თავად იყო ხაშურის „ივერიის“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, მერე, როცა გუნდი 90-იანი წლების დასაწყისში პირველსა და უმაღლეს ჯგუფს შორის მიმოდიოდა, ადგილობრივმა გულშემატკივარმა იმედის [illegible] ლით გაიხედა „ჩორნასაკენ“. რო[illegible] იქნა, „ეევანიც შეაბეს“ — ეს [illegible]ნ მოხდა, როცა ხაშურის თვითმმართველობის ორგანოებში მომუშავე მამებმა უმწეოდ გაშალეს ხელები, გუნდის შენახვის თავი არ გვაქვსო. ჰოდა, „ჩორნამაც“ რამდენიმე წელი კაცურად ზიდა ის ტვირთი, რასაც კლუბის პრეზიდენტობა ჰქვია. „ივერიისთვის“ ეს ბედნიერი ხანა იყო — თვითმყოფადი გუნდი უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა და არაერთი სასიამოვნო დღეები განაცდევინა ხაშურელ გულშემატკივარს. სამწუხაროდ, „კალენიკოვი-

იხ. მე-4 გვ.

## საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## I ლიგა, II ეტაპი. VIII ტური.

### მატჩების ოქმებიდან

### I–VIII ადგილები

**კოლხეთი 1913 — ტორპედო 2-1**

*კოლხეთი 1913:* ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, ტრაპაიძე (რ. ახალკაცი 88), კიკლიაშვილი, ხუჭუა (გ. ჩიტაია 80), ე. გვასალია, მ. ქობულაძე, ჯ. შალამბერიძე.

*ტორპედო:* ზოიძე, იონანიძე, მახვილაძე, მაღლაკელიძე (გოგიაშვილი 79), შეყრილაძე, კ. კვეტენაძე, მეგრელაძე, ჩხეტიანი, ახვლედიანი (მ. ბობოხიძე 67), ასათიანი (მედოევი 55), ხვადაგიანი.

*მსაჯი:* თ. ლაცაბიძე (სურამი) — 8,6

*გოლები:* 1-0 ხვადაგიანი (28 — ავტოგოლი), 2-0 ე. გვასალია (78), 2-1 ხვადაგიანი (82).

**იბერია — დინამო (ბთ) 0-2**

*იბერია:* ა. ჩომახიძე, გ. ქვანია, გეგეშიძე, მიქელაძე (გ. ნოზაძე 58), მ. ჯინჭარაძე, ზ. მეტრეველი, ივეჩიანი, მუმლაძე, ხურციძე (ბიწაძე 65), კ. ჯანაშია, ს. გიგიაძე (ლ. ხმალაძე 46).

*დინამო:* ჩლაიძე, სიხარულიძე, ზ. არჩვაძე, სიდამონიძე, ქაცარავა, ღლონტი (ი. მახარაძე 56), თ. ტუღუში (თარგამაძე 46), თედორაძე, მაჭუტაძე (ხომერიკი 46), ა. მუჯირი, აფხაზავა.

*მსაჯი:* ა. მეშკოვი (თბილისი) — 8,5

*გოლები:* 0-1 სიდამონიძე (12), 0-2 ხომერიკი (54).

**ვიტ ჯორჯია — დინამო (თბ) 1-1**

*ვიტ ჯორჯია:* ჭურაძე, ჯ. მუჯრი, ჭანკოტაძე, თოდუა, საჯაია, ლ. ნოზაძე, ი. ხაჭაპურიძე (თ. კობიაშვილი 23), დ. დოლიძე, კოტორაშვილი (ოილმელაშვილი 68), გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი (ზ. გვაზავა 75).

*დინამო:* გრიშიკაშვილი, ეაშაკიძე, დიდავა, ა. სახვაძე, რუხაძე (ანჩაბაძე 46), გუჩუა, ნემსაძე, მინაშვილი, სიჭინავა (ზირაქიშვილი 62), რ. არველაძე (დათვაძე 33), გ. შენგელია.

*მსაჯი:* მ. მალაღურაძე (თბილისი) — 8,5

*გოლები:* 1-0 გიორგი ქორიძე (27), 1-1 დათვაძე (80)

*გაფრთხილება:* დათვაძე.

**დილა — სიონი 1-0**

*დილა:* სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, ხ. გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, მარეხაშვილი (ებანოიძე 74), ციცქიშვილი (87), საყვარელიძე (ოლგესაშვილი 83), ფეზუაშვილი, სულთანიშვილი.

*სიონი:* დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, ვ. მაისურაძე, მ. სამხარაძე, დ. სვანიძე (დ. ჯაფარიძე 85), ნ. მინდიაშვილი, ისიანი (თ. სამხარაძე 81), მ. გოგოლაძე, ბ. შენგელია, კ. გოგოლაძე, მოსეშვილი.

*მსაჯი:* ა. შალამბერიძე (ქუთაისი) '— 8,7.

*გოლი:* 1-0 სულთანიშვილი (78).

*გაფრთხილება:* ლომიძე.

### IX– XVI ადგილები

**სამგურალი — თსუ 3-1**

*სამგურალი:* სტურუა, ვოსკანოვი, ფრანგიშვილი, ჩხაბერიძე, გ. ჯანელიძე (დ. ჭელიძე 46), ძაგნიძე (ხუნდაძე 31), სუხიაშვილი, გიორგობიანი, ბერაძე, დარსაძე, კვერნაძე (ზ. ქუთათელაძე 77).

*თსუ:* მერლანი, ბარქაია (ლობჟანიძე 67), ინწკირველი (თ. ბოკერია 67), ებრალიძე, ადამია, ერაძე (ქადაგიძე 70), დ. არჩვაძე, მაზიაშვილი, წუწუნავა, დეკანოსიძე, მესხი.

*მსაჯი:* ა. ორდინიძე (ონი) — 8,0

*გოლები:* 0-1 მაზიაშვილი (16), 1-1 დარსაძე (19), 2-1 სუხიაშვილი (55), 3-1 კვერნაძე (63).

*გაფრთხილება:* ინწკირველი.

**კოლხეთი — ლოკომოტივი 0-7**

*კოლხეთი:* ნიქაბერიძე (რ. თოლორდავა 12), ჯამბურია, ოდიშარია, ალანია, ზურ. აიანადი, კ. ხურცილავა (მ. ტყებუჩავა 30), გიორგაძე, ვ. ჩიტაია, ბულუხია, ვართაგავა, ზაზა აიანადი.

*ლოკომოტივი:* ასლანაძე, ბალაშვილი, ლ. მიქაძე, გ. ჩიხრაძე, ხიზანიშვილი (კაციაშვილი 46), გოგიჩაიშვილი, კვარაცხელია, ჯულელი, ხუროძე (ჭიჭვეიშვილი 46), რუსია (ჩხაიძე 46).

*მსაჯი:* ზ. ანიაშვილი (გორი) — 7,0.

*გოლები:* 0-1 ჯულელი (5), 0-2 რუსია (7), 0-3 ხუროძე (11), 0-4 ხიზანიშვილი (44), 0-5 ჯულელი (73), 0-6 აბრამიძე (87), 0-7 კვარაცხელია (88).

*გაფრთხილება:* ზურაბ აიანადი.

**გორდა — არსენალი 3-0**

*გორდა:* ბედიაშვილი, დ. ბერიძე (სილაგაძე 51), ბურნაძე, ბექაური, გაბელაია, ვ. კილასონია, მიშველიძე, გ. კილასონია, ბაჩილავა (ა. ბუკია 79), კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე (კიტეიშვილი 82).

*არსენალი:* კუპატაძე, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, ხარებავა, სულაძე, შუკაკიძე, ი. კაპანაძე (გ. ჩალაძე 75), ა. ხმალაძე (გ. ტუღუში 55), წივწივაძე, ქოიავა (წოწკოლაური 77).

*მსაჯი:* ი. კახიანი (თბილისი) — 7,7.

*გოლები:* 1-0, 2-0, 3-0. ვ. კილასონია (38,45,84).

*გაფრთხილება:* ხარებავა, გ. კილასონია.

**მერანი 91 — თბილისი 4-0**

*მერანი 91:* ნაჭყეპია, ცქიფურიშვილი, დევიძე, ილურიძე, გუჯაბიძე, კარიაული, დავითაშვილი (დ. ჯიშკარიანი 66), ჭინჭარაული, როსტიაშვილი, ხორხელი (ივანიშვილი 46), კაკაბაძე (კობესაშვილი 57).

*თბილისი:* ბათიაშვილი, ზ. ლაბაძე, პაპიძე (ყუფარაძე 50), ბარნოვი, მაჭავარიანი, ზამთარაძე, კოხრეიძე (დ. ტყებუჩავა 46), ი. შენგელია, ლოლაძე, ჩივაძე (თ. მაისურაძე 46), გადელია.

*მსაჯი:* ა. შილაკაძე (თბილისი) — 8,5.

*გოლები:* 1-0 კაკაბაძე (6), 2-0 დავითაშვილი (22), 3-0, 4-0 დევიძე (35,71).

*გაძევება:* ილურიძე.

## „ტორპედო“ ჩერდება?

მიმოხილვა

ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მეორე წრის მე-8 ტურმა ისედაც უკომპრომისო ბრძოლაში მიმდინარე პირველობა კიდევ უფრო დაძაბული და საინტერესო გახადა. საკმარისია გავეცნოთ ტურის შედეგებს და გადავხედოთ ცხრილს, რომ სპეციალისტიც და გულშემატკივარიც უმალ მიხვდება — ტურიდან ტურამდე დაძაბულობა კულმინაციას უახლოვდება, ინტრიგა კი სულ უფრო იხლართება.

მოკლედ, საქართველოს მეთერთმეტე ჩემპიონს ბოლო ტურების მატჩები თუ გამოავლენს.

ჩემპიონატის პირველივე ტურიდან სიჩქარეაკრეფილი იმერთა „ტორპედო“ თითქოს საწვავი უთავდებაო, დამუხრუჭებას იწყებს, რითაც მშვენივრად სარგებლობენ მდევრები. თითქმის საჩემპიონოდ გამზადებული გუნდისთვის აპრილი სახარბიელო შედეგებით არ სრულდება. ამ თვეში ჩატარებული ხუთი მატჩიდან ქუთათურებმა ორი მოიგეს, ერთი ფრედ დაასრულეს, ორში კი — დამარცხდნენ. ქულები უშუალო კონკურენტებთან დაკარგეს. ხოლო ფოთში წაგებამ მათი უპირატესობა მინიმუმამდე დაიყვანა. შეძლებს უპირატესობის აღდგენას ჩემპიონატის ლიდერი? ამას 29 აპრილის მე-9 ტურის ცენტრალური მატჩის ტორპედო — დინამო (ბათუმი) დასრულების შემდეგ გავიგებთ. ამავე დღეს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩი გაიმართება. ჩემპიონობას შეჩვეული წლეულს „მძიმეწონოსანი“ თბილისის დინამო, პრესტიჟისთვის მებრძოლ ფოთის კოლხეთს მიიღებს. ამ შეხვედრებს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. თანაქალაქელ ვიტ-ჯორჯიასთან მარცხს გადარჩენილი კორდალიძის შეგირდები ლიდერს კვალში მისდევენ და უეჭველია გამარჯვებისათვის იბრძოლებენ. ზედიზედ ორ შეხვედრაში დამარცხებულმა კარნევალეს დატუქსულმა ბათუმელებმა სამტრედიაში კარნავალი მოიწყვეს, ისარგებლეს ვეტერინარების დინამოსთან წაფორხილებით და მესამე საფეხურზე აღზევდნენ. მეხუთე ადგილზე მყარად დამკვიდრებულმა ფოთელებმა ფავორიტობა ასე არ უნდაო და შინ ჩინებულად ჩატარებულ შეხვედრებში თანმიმდევრულად დაამარცხეს ბათუმელები და ქუთაისელები, რითაც დაამტკიცეს, რომ ჩრდილში ყოფნას არ აპირებენ და თუ ჩემპიონობისთვის არა, ევროპული საგზურისთვის ნამდვილად იბრძოლებენ. პირველ ოთხეულს ვიტ-ჯორჯია ასრულებს. სიმბოლურია, რომ მათ შორის ქულათა სხვაობაც ერთიდან ოთხამდე მერყეობს და თითოეულ მათგანს გაჩემპიონების დიდი შანსი აქვს. რაც შეეხება „მცხეთელ თბილისელებს“ — ვიტ-ჯორჯია საკუთარ თავში დარწმუნებული, მებრძოლი სულის, ახალგაზრდა გუნდია და სულაც არ აპირებს დაუმარცხებელი სერიის დასრულებას, მით უფრო მაშინ, როცა მასთან თამაშისას ქულის გადარჩენაზე მეტოქეები უფრო მეტს ფიქრობენ, რაც დინამოსთან შინაურმა პაექრობამაც ცხადჰყო.

სიონი, იბერია და დილა ის გუნდებია, რომელთათვისაც თითქოს ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ ერთმანეთშიც და ლიდერებთანაც შეხვედრაში ცდილობენ ის თამაში აჩვენონ, რამაც თითოეული მათგანი საუკეთესო რვა გუნდს შორის მოახვედრა. რამდენად გამოსდით ჩანაფიქრი, ეს უკვე სხვა თემაა. შემდეგ ტურამდე, რომელზედაც მცირედი ვისაუბრეთ კიდეც, ერთი კვირა რჩება. მანამდე სანაკრებო ოთხშაბათია: სომხეთი — საქართველო. ასე რომ, საინტერესო და საქომაგო შინ თუ გარეთ, ბევრი გვაქვს. მოკლედ, ჩემპიონატის ახალმა სისტემამ ისე დაძაბა მატჩები, ყველა ტურს შეუძლია სიტუაცია შეცვალოს, დაძაბული მატჩების სიმრავლე კი მომავალში კლასის ამაღლების საწინდარი გახდება.

**ლიგაში** დარჩენისთვის მებრძოლ გუნდებს შორის მიმდინარე პაექრობაში არანაკლები სიმძაფრეა. თუ ხობისა და ორი თბილისური გუნდის საკითხი მერვე ტურმა ფაქტიურად გაარკვია, დანარჩენი სამი ნაპირთან შერჩენილ ხავსს ეჭიდება და გადასარჩენ მეთორმეტე ადგილზე ოცნებობს, რაც შაბათის ტურმაც დაამტკიცა. მერანმა და ლოკომოტივმა მორიგი სამი ქულა ჩაიწერეს, რითაც აუტსაიდერებს კიდევ უფრო დასცილდნენ. მეთორმეტე ადგილისთვის ბრძოლაში სამგურალმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა თსუ-სთან და კონკურენტთან სხვაობა ექვს ქულამდე შეამცირა. გორდამ სამხედროების დამარცხებით მკვეთრად გაიუმჯობესა მდგომარეობა და წყალტუბოელებს კვლავ შვიდი ქულით უსწრებს.

მიხეილ საბახტარაშვილი

## ბავშვთა ლიგა ● IV ტური

### დინამო — სიონი 5–1

„მაუდკამვოლის“ სტადიონი.

***გოლები:*** 1-0 ღუჭაშვილი (3 წთ), 2-0 ბარაბაძე (37 წთ), 3-0 კალაძე (პენ. 55), 3-1 ა. უგრეხელიძე (60), 4-1 კალაძე (პენ. 67), 5-1 ღუჭაშვილი (70).

***დინამო:*** გეგეშიძე, ბარაბაძე, ლომაია (აბაშიძე, 68), კალაძე, ბერიანიძე, კვახაძე, ღუჭაშვილი, ალავიძე (ზურიკაშვილი, 58), კაპანაძე (ნიკოლაიშვილი, 26), კაციტაძე (ექონია, 68), ბუბუტეიშვილი (გედევანიშვილი, 42), სათადარიგონი: ჯულელი, ხურციძე.

***მთ. მწვრთნელი:*** რევაზ გაგუა.

***მწვრთნელი:*** ალექსანდრე გავაშელი.

***სიონი:*** ჯმუხაძე (გავაშელი, 63), ყურაშვილი, გოგოლაძე, ვ. უგრეხელიძე, მუშკუდიანი (სიმსივე, 45), ბუალავა, მიქელაძე, ექიზაშვილი, რეხვიაშვილი (ლაზარაშვილი, 37), უგრეხელიძე (კიკოლიაშვილი, 68), რეხვიაშვილი.

***სათადარიგონი:*** კაცაძე, ელიკაშვილი, ყიფშიძე.

***მთ. მწვრთნელი:*** ტარას კაველაშვილი.

***მსაჯი:*** ლაშა სილაგავა.

***გაძევება:*** სიმსივე (55).

23 აპრილს, თბილისში „მაუდკამვოლის“ სტადიონზე ადგილობრივმა „დინამომ“ ბოლნისის „სიონს“ უმასპინძლა. შეხვედრა იმდენად მაღალ ტემპში დაიწყო, რომ უკვე მესამე წუთზე ვასილ ღუჭაშვილი გაიჭრა მეტოქის საჯარიმოსკენ და სტუმართა მეკარე თამაშის დებიუტშივე გააწბილა.

გოლმა ორივე გუნდი უფრო გააქტიურა: მინდვრის ყოველი მონაკვეთისთვის თავდაუზოგავად იბრძოდნენ მეტოქეები. სტუმრები მედგრად ცდილობდნენ კონტრშეტევებით გასულიყვნენ ფონს, მაგრამ მასპინძლები გაცილებით მობილიზებულად მოქმედებდნენ.

შესვენებამდე (ტაიმები 35 წუთიანი იყო) 2 წთ-ით ადრე ვასილ ღუჭაშვილი გავიდა მეკარის პირისპირ, მაგრამ ბოლნისელთა მეკარემ ვარდნაში მოიგერია ბურთი. თუმცა, სტუმრები მაინც ვერ გადაურჩნენ მეორე გოლს — ზურაბ ბარაბაძემ მეკარისაგან მარჯვენა მაღალ კუთხეში შეარხია მეტოქის კარის ბადე.

მეორე ტაიმიც უშეღავათოდ დაიწყო. 47-ე წუთზე ბოლნისელმა მიქელაძემ ზუსტი პასით პირისპირ გაიყვანა მეკარესთან რეხვიაშვილი, მაგრამ გეგეშიძე თავგანწირვით ჩაუვარდა ფეხებში და სიტუაცია განმუხტა. 55-ე წუთზე მასპინძლებმა კუთხური ჩამოაწოდეს. სიმსივემ ხელით გამოიტანა ბურთი კარიდან, რაც მას გაძევებისა და საკუთარ კარში გოლის ფასად დაუჯდა. თერთმეტმეტრიანი კალაძემ ზუსტად შეასრულა. მე-60 წუთზე მეკარესთან პირისპირ გასულმა ამირან უგრეხელიძემ გაქვითა ანგარიში. ამის შემდეგ ელვისებური სისწრაფით შეუტიეს დინამოელებმა და უკვე 62-ე წუთზე კალაძის წინააღმდეგ საჯარიმოში უხეში თამაში დაფიქსირდა. კალაძე ამჯერადაც ზუსტი იყო. მატჩის უკანასკნელ წუთზე კი ვასილ ღუჭაშვილმა თავური დარტყმით დალაშქრა მეტოქის კარი. იქვე გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მატჩი დინამოელებმა დიდი ანგარიშით მოიგეს, სტუმრებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მატჩებისადმი მონაწილეთა და გულშემატკივართა დაინტერესება იმედს იძლევა, რომ ბავშვთა ლიგას დიდი მომავალი აქვს.

ნინო ცირამუა

### ირაო — სენაკი 6–0

***გოლები:*** 1-0 ფიფია (10), 2-0 ხოჯავა (49), 3-0, 4-0 ფიფია (56, 59), 5-0 მარუსიძე (68), 6-0 ჭანტურია (69).

***ირაო:*** რამიშვილი, მიქაშვილი, გაგნიძე, მაზიაშვილი, ტაბუცაძე, ირემაშვილი, ხოჯავა, რევაზიშვილი (გეწაძე, 57), ფიფია, ელიავა (მარუსიძე, 36), კანკავა (ჭანტურია, 51).

***სათადარიგონი:*** ღოღობერიძე, მაჭარაშვილი, ჩალაძე.

***სენაკი:*** ლატარია, ფარფალია (შელაია, 51), ამშალავა, სახოკია, მიქავა, მიქაძე, ჩიტაია (ბახალაია, 59), კახარავა (კირცხალია 36, ძიძიგური, 61), გაგუა (გაბეჯავა, 55), წიქარიშვილი.

***სათადარიგო:*** შენგელია.

***გაფრთხილება:*** სახოკია (34)

***გაძევება:*** ლატარია (59).

***მსაჯები:*** დ. ხარიტონაშვილი, ბ. ჭიჭინაძე, ზ. ფიფია.

ეს მატჩი „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა. დასაწისში ირაომ შეუტია და არაერთი სახიფათო მომენტი შექმნა. მატჩის მე-10 წუთზე ირაოს ფეხბურთელმა ტაბუცაძემ ცენტრში მიიღო ბურთი და ერთი შეხებით მეკარესთან პირისპირ დატოვა ფიფია. მანაც არ დააყოვნა და ანგარიში გახსნა. გოლის შემდეგ სენაკელი ფეხბურთელები გააქტიურდნენ და რამიშვილის კარს დაემუქრნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. პირველი ტაიმის უკანასკნელი წუთები ირაოს ფეხბურთელებმა შეტევებში გაატარეს. ყველაზე მეტად აქტიურობდა გუნდის გამოცდილი ფორვარდი ფიფია, რომელმაც ზედიზედ ორჯერ მოარტყა ბურთი ძელს.

მეორე ტაიმის 49-ე წუთზე ფიფია მეკარეს პირისპირ დარჩა, მეკარე მოატყუა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა, იქვე გოჩა ხოჯავამ დაამატა და ანგარიში ორამდე გაზარდა. ირაოს ფეხბურთელები ორ გოლს არ დასჯერდნენ. 56-ე წუთზე რევაზიშვილმა ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, ფიფიამ მცველების დაბნეულობით ისარგებლა და ანგარიში გახდა 3-0. ამის შემდეგ 3 წუთი არ იყო გასული, რომ სენაკის მეკარემ უხეშად ითამაშა საჯარიმოში და ბოლო იმედის — ჯარიმის გამო წითელი ბარათიც მიიღო. მატჩის მთავარმა არბიტრმა ხარიტონაშვილმა თერთმეტმეტრიან ნიშნულისკენ მიუთითა. ბურთთან ფიფია მივიდა და შეცვლაზე შესულ მეკარე ბა[illegible]იას გოლიც გაუტანა. ამის შემდეგ სენაკელები სულ მოეშვნენ და კიდევ ორი გოლით დაისაჯნენ. თავი გამოიჩინეს შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა მარუსიძემ და გეწაძემ. მოკლედ, ირაოს ფეხბურთელებმა მორიგი იოლი გამარჯვება ჩაიწერეს აქტივში.

### სხვა მატჩები:

**გაზაფხული — იმერეთი 1-1**
**კახეთი — გურია 5-0**
**განათლება — ლაზიკა 0-0**
**დინამო (ბთ) — თბილისი 2-0**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დინამო თბ.** | 4 | 4 | - | - | 19-1 | 12 |
| **ირაო** | 4 | 3 | 1 | - | 9-0 | 10 |
| **გაზაფხული** | 4 | 2 | 2 | - | 5-2 | 8 |
| **დინამო ბთ** | 4 | 2 | 1 | 1 | 4-1 | 7 |
| **კახეთი** | 4 | 2 | - | 2 | 8-7 | 6 |
| **თბილისი** | 4 | 2 | - | 2 | 4-4 | 6 |
| **განათლება** | 4 | 1 | 1 | 2 | 1-2 | 4 |
| **სიონი** | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| **გურია** | 4 | 1 | - | 3 | 3-13 | 3 |
| **ლაზიკა** | 4 | - | 2 | 2 | 3-10 | 2 |
| **იმერეთი** | 4 | - | 2 | 2 | 1-4 | 2 |
| **სენაკი** | 4 | - | 2 | 2 | 0-9 | 2 |

## შერისხულნი...

*(მესამე გვერდიდან)*

ჩისა“ არ იყოს, „ჩორნასაც“ არ დაუფასეს ამაგი და მისი მოღვაწეობის ბოლოს კაცი ისე ანერვიულეს, სასიკვდილოდ გაიმეტეს.

ფეხბურთის მეცენატებისადმი უმადურობის კიდევ ერთ მაგალითად გამოდგება ზესტაფონის „მარგვეთის“ კლუბის პრეზიდენტის **ვასილ ხაჭაპურიძის** მოღვაწეობის გახსენება. სწორედ მის ხელში მიაღწია იმერულმა გუნდმა დიდ წარმატებას: გახდა ეროვნული ჩემპიონატის პრიზიორი, გემო გაუსინჯა ევროტურნირში მონაწილეობასაც. აი, მაშინ კი გაეღვიძა ზოგიერთს მადა და კლუბის ხელში ჩაგდება მოინდომა. დაუწყეს ხაჭაპურიძეს დევნა, ძველი საქმეების ქექვა. ისე, თავდასხმის ობიექტი იყოს და შარს, მით უმეტეს, არასამართლებრივ სახელმწიფოში, ყოველთვის მოსდებ. შედეგად, ერთ დროს წელში გამართული გუნდი დღეს მეორე ჯგუფის ბინადარია და ვინ იცის, როდის ეღირსება კიდევ უძლიერესთა კოჰორტაში თამაშს. დასანანი ამბავი კია, როცა იხსენებ, რამდენი გულშემატკივარი ჰყავდა ხოლმე მარგველთა პაექრობებს: მატჩებზე არა მხოლოდ ზესტაფონელები, არამედ მეზობელი თერჯოლიდან, ტყიბულიდან, ჭიათურიდან, ბაღდადიდან, ქუთაისიდან, ხარაგოულიდან ესწრებოდნენ.

ახლა ლიხს აქეთაც მოვიხედოთ და კიდევ ერთი კლუბის პრეზიდენტის ამბავიც გავიხსენოთ. ლაპარაკია თელავის რაიონის ყოფილ კლუბ „ნაფარეულის“ მამა-მარჩენალზე, ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებულ ადამიანზე, **მერაბ ხიდაშელზე**. ასე, დაახლოებით 9-10 წლის წინათ, ნაფარეული ჩვეულებრივი კახური სოფელი იყო, ისევე, როგორიც, ვთქვათ, მუკუზანი, გრემი, ველისციხე და მისთანები. თუ ვენახში საქმე არ იყო, დილიან-პატარიანად ყველა სოფლის ბირჟაზე ჰკლავდა დროს უაზრო ყაყანსა და ბილწსიტყვაობაში, მერე სადღაც „ხეირი გაიჩითებოდა“ და იწყებოდა გაუთავებელი ლოთობა, დილით „პახმელიაზე“ გამოსვლა. მოკლედ, ცხოვრება იყო ერთფეროვანი, ინტერესს მოკლებული. და აი, ერთ სოფელში (ნაფარეულში) სიტუაცია ზღაპრულად შეიცვალა და ამის თავი და თავი აგრო-ფირმა „ნაფარეულის“ დირექტორი მერაბ ხიდაშელი გახდა. მაგარი სასმელების მწარმოებლებისაგან განსხვავებით, მან შემოსავალი სახლში კი არ გააქანა, საფეხბურთო კლუბს მოახმარა, მოკლე დროში კეთილმოაწყო სტადიონი ორი საფეხბურთო მინდვრით, გასახდელებით, აბანოთი, სასტუმროთი, მერე ესეც არ იკმარა და მაშინ, როდესაც მთელი კახეთი ენერგოკრიზისმა წყვდიადში გაახვია, სტადიონზე ისეთი განათება მოაწყო, ახლომდებარე სოფლებსაც წვდებოდა და გაუთვითცნობიერებულ ხალხს საგონებელში აგდებდა — თურმე, ნაფარეულში მოკაშკაშე მფრინავი თეფში დამჯდარაო... მოკლედ, ნაფარეულელების ცხოვრება ცხოვრებას დაემსგავსა — დღეს ვენახში ატარებდნენ, მერე კი მოუთმენლად ელოდნენ საღამოს, როცა საყვარელი საფეხბურთო გუნდი თუ არ თამაშობდა, ვარჯიშობდა მაინც (თავად ვარ მოწმე — ერთ-ერთ ვარჯიშს ტრიბუნებზე მოკალათებული 200-მდე ნაფარეულელი ადევნებდა თვალს). სამწუხაროდ, „იდილიამ“ ორიოდე წელი გასტანა, მერე კი მოულოდნელად ხიდაშელი აგროფირმას ჩამოაცილეს, მის ადგილზე დანიშნულმა პირმა, სულაც არ მეფეხბურთებაო, ხელის ერთი მოსმით დაშალა გუნდი, უპატრონოდ დატოვა სტადიონი. სულ რამდენიმე დღეში არაკაცებმა გააოხრეს და გადათელეს სტადიონი თავისი გასახდელებით, საუნით, სასტუმროთი, საქმე იქამდეც მივიდა, ფანჯრის ჩარჩოებიც კი დაიტაცეს...

მოკლედ, ერთ დროს ბრწყინვალე საფეხბურთო ბაზა დღეს პრაქტიკულად ალარ არსებობს. სამაგიეროდ, კვლავ აგუგუნდა სოფლის ბირჟა, იმატა ლოთობამ, სხვადასხვა დანაშაულმა, პირველ რიგში, ნარკომანიამ.

**ვფიქრობთ, მოყვანილი მაგალითებიც კმარა ერთი დასკვნისათვის: დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის პირველივე წლებიდან დღემდე ყველა, პირველ რიგში, სამთავრობო სტრუქტურები, სხვადასხვა მაფიოზური დაჯგუფება ცდილობს ტერორი მოუწყოს, ფრთები მოკვეცოს იმ ადამიანებს, ვისაც ძალუძს ფინანსურად დაეხმაროს ქართულ ფეხბურთს. ეს სიტუაცია გაგრძელდება მანამდე, სანამ ხელისუფლება არ შეიმუშავებს და ოფიციალურად არ დაკანონებს შეღავათებს იმ პირთათვის, ვისაც კი გადაუწყვეტია ფინანსურად დაეხმაროს კლუბებს. ადრე თუ გვიან, ეს აუცილებლად მოხდება, მანამდე კი– გაფრთხილდით, მეცენატებო!**

ჯემალ ჭიკაშვილი

# წარმოგიდგენთ ფინალისტებს

UEFA
EURO
2000
The Low Countries

## ესპანეთი

როცა ესპანეთის ნაკრებს ხავიერ კლემენტე ხელმძღვანელობდა, ამ განთქმული გუნდის საქმეები ცუდად მიდიოდა, განსაკუთრებით, ევროპის 1996 და მსოფლიოს 1998 წლების ჩემპიონატებში. ისიც ცუდი იყო, რომ კლემენტე თავის მარცხს სხვებს გადააბრალებდა ხოლმე, ხან რითი ხსნიდა საკუთარ წარუმატებლობას, ხან რითი. რახან გვარიანი თავდამსხმელები „ვერ აღმოაჩინა“, კლემენტემ თქვა: „რა საჭიროა თავდამსხმელები, როცა მათ მოვალეობას ნახევარმცველებიც კარგად ასრულებენ“. ვერაფერი სენტენციაა, ღმერთმანი! ამასობაში ნაკრები კი სულ ჭრიალებდა და ჭრიალებდა.

თუ გულშემატკივრების მოთმინების ფიალა კარგა ხანია აივსო, ესპანეთის ფეხბურთის მესვეურები მაშინ „გაინძრნენ“, როცა ესპანეთის ნაკრები ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩშივე დამარცხდა სტუმრად კვიპროსის (!) გუნდთან 2-3 (ესპანელთაგან გოლები გაიტანეს რაულმა და მორიენტესმა). ამის შემდეგ კლემენტეს ნაკრებში აღარ დაედგომებოდა და არჩევანი კამაჩოზე შეჩერდა.

ხოსე ანტონიო კამაჩო გონსალო დაიბადა 1955 წლის 7 ივნისს მურსიის პროვინციის ქ. სიესაში. საინტერესოა, რომ მთელი კარიერა მხოლოდ ერთ კლუბში, მადრიდის „რეალში“ (1973-89) გაატარა, 1975-89 წლებში კი ესპანეთის ნაკრების წევრი იყო. იგი ქვეყნის 9-გზის ჩემპიონია, ოთხგზის თასის მფლობელი, ორგზის — უეფას თასის მფლობელი.

სამწვრთნელო მოღვაწეობა მადრიდის „რაიო ვალეკანოში“ დაიწყო (1992-93). შემდეგ მუშაობდა ბარსელონის „ესპანიოლსა“ (1993-96, 1997-98) და „სევილიაში“ (1996-97). 1998 წლის 15 სექტემბერს ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა და მთლიანად გარდაქმნა მუშაობა. ნაკრებში ამაღლდა დისციპლინა, მან შემტევი სტილით, აგრესიულად დაიწყო თამაში. იმასაც წერენ, რომ ესპანეთის ნაკრებში სულ მალე „ოქროს ხანა“ დაიწყება.

თუმცა, სჯობს გადავხედოთ ესპანეთის ნაკრების შედეგებს ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირის მატჩებში, რომელიც მან კამაჩოს ხელმძღვანელობით ჩაატარა. შედეგი კი ასეთი იყო: 7 მოგება 7 მატჩში! ისრაელთან (სტუმრად) — 2-1 (იერო, ეჩევერია), ავსტრიასთან (შინ) — 9-0 (რაული — 4, ურსაისი — 2, იერო 11-მეტრ., ფრანი, ერთი ავტოგოლი), სან-მარინოსთან (სტუმრად) — 6-0 (ფრანი, რაული — 3, ურსაისი, ეჩევერია), სან-მარინოსთან (შინ) — 9-0 (იერო — 11 მეტრ. ლუის ენრიკე — 3, ეჩევერია — 2 რაული, მენდიეტა, ერთი ავტოგოლი), ავსტრიასთან (სტუმრად) — 3-1 (რაული, იერო, ლუის ენრიკე), კვიპროსთან (შინ) — 8-0 (ურსაისი — 3, გერერო — 3, სესარ მარტინი, იერო), ისრაელთან (შინ) — 3-0 (მორიენტესი, სესარ მარტინი, რაული).

ამ წარმატებებმა კამაჩოს სახელი მეტად პოპულარული გახადა ესპანეთში. მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა მიზნად დაისახა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, კამაჩო თავის კლუბში მიიწვიოს, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუკი ესპანეთის ნაკრები ევროპის პირველობაზე... მარცხს განიცდის... ეს კი, მიმომხილველთა აზრით, სულაც არ არის მოსალოდნელი.

თუ ადრინდელ მწვრთნელ ხავიერ კლემენტეს ნაკრებში თავისი საყვარელი ფეხბურთელები, „პროტექეები“ ჰყავდა, რომლებსაც ყველა შემთხვევაში გამოიძახებდა ხოლმე, მაშინაც კი, როცა ისინი თავიანთ კლუბებში სრულიად ულიმღამოდ მოქმედებდნენ, კამაჩო სულ სხვა პოლიტიკას ახორციელებს. იგი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს მოთამაშეების სახელებს, ნაკრებში კი იმათ იწვევს, ვინც იმ მომენტში მაქსიმალურად არის საბრძოლველად შემართული.

ახლანდელი ნაკრები მაინცდამაინც ვერ დაიტრაბახებს, რომ მეტისმეტად საიმედო მეკარე ჰყავს. ეს მაშინ, როცა ესპანელები ყოველთვის განთქმულნი იყვნენ დიდებული გოლკიპერებით. ახლა სხვებზე უკეთესად მაინც ხოსე სანტიაგო კანისარეს რუისი (1969. 18.12. 181 სმ. 78 კგ. „ვალენსია“, 21 მატჩი ნაკრებში) თამაშობს, მაგრამ ზოგჯერ შესანიშნავად მოქმედებს, ზოგჯერ შედარებით მარტივ სიტუაციებში სცდება. მეორე მეკარეა ხოსე ფრანსისკო მოლინა ხიმენესი (1970. 8.8. 185 სმ. 89 კგ. მადრიდის „ატლეტიკო“, 4 მატჩი). მოლინას წლეულს უდიდესი დატვირთვა ჰქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ მისი კლუბის, მადრიდის „ატლეტიკოს“ თამაში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. მოლინას მთავარი ნაკლია მცდარი მოქმედება კარიდან გამოსვლისას. გარკვეული შესაძლებლობა გაემგზავროს ევროპის პირველობაზე აქვს კიდევ ერთ მეკარეს. ეს გახლავთ ხუან მიგელ გარსია ინგლესი, ანუ, შემოკლებით ხუანმი (1971. 9.3. 181 სმ. 73 კგ. „სარაგოსა“, 1 მატჩი ნაკრებში). მიმომხილველები ასახელებენ კიდევ რამდენიმე მეკარეს, ისე რომ, ეს საკითხი კიდევ მოითხოვს საბოლოო გადაწყვეტას.

ასე თუ ისე, ნათელია დაცვის ძირითადი ოთხეულის საკითხი. აქ თითქმის უცვლელად თამაშობენ მიჩელ ანხელ სალგადო ფერნანდესი (1975. 22.10. 176 სმ. 72 კგ. მადრიდის „რეალი“, 11 მატჩი), აბელარდო ფერნანდეს ანტუნია (1970. 19.3. 180 სმ. 77 კგ. „ბარსელონა“, 42 მატჩი და 3 გოლი ნაკრებში), ფერნანდო რუის იერო (1968. 23.3. 187 სმ. 84 კგ. მადრიდის „რეალი“, 68 მატჩი და 23 გოლი ნაკრებში) და სერხი ბარხუან ესკულსა (1971. 28.12. 172 სმ. 68 კგ. „ბარსელონა“, 44 მატჩი, 1 გოლი). ამ ოთხეულიდან თითოეულს ძალზე ემარჯვება საჭირო მომენტში შეტევაში ჩართვა. ამას კარგად ახერხებენ განაპირა მცველები სალგადო და სერხი, რომელთა გარღვევები ფრთებიდან ძალზე სახიფათოა, ცენტრალური მცველები იერო და აბელარდო კი თავით თამაშის აღიარებული ოსტატებია და როცა მეტოქეთა კართან კუთხურის მიწოდებაა საჭირო ან საჯარიმო დარტყმა ინიშნება, ისინი მიდიან წინ. ევროპის პირველობაზე გამგზავრების პრეტენზია ექნება კიდევ რამდენიმე მცველს. ესენია: ხუან ველასკო დამასი (ვიგოს „სელტა“, აგუსტინ არანსაბალ ალკორტა (სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადი“), ფრანსისკო ხემეს მარტინი, რომელიც პაკოს მეტსახელით არის ცნობილი („რეალ-სარაგოსა“), მარსელინო ელენა სიერო (ინგლისის „ნიუკასლ იუნაიტედი“), ალბერტ ფერერ ლიოპისი (ლონდონის „ჩელსი“).

რაული (№10)

სერხი (№3)

ნახევარდაცვას მძიმე ტრავმის გამო კარგა ხნით გამოაკლდა (ევროპის პირველობაზე ნამდვილად ვერ ითამაშებს!) შესანიშნავი ოსტატი, მეტად სწრაფი და შედეგიანი ლუის ენრიკე, ისე რომ, მწვრთნელმა უნდა იფიქროს, ვინ გამოიყვანოს ამ ხაზის მარცხენა ფრთაზე. ახლა ექსპერტების აზრით, უძლიერესია ასეთი ოთხეული: ხოსეპ გვარდიოლა (1971. 18.1. 180 სმ. 73 კგ „ბარსელონა“, 31 მატჩი, 4 გოლი), გაისკა მენდიეტა საბალა (1973. 27.3. 173 სმ. 69 კგ. „ვალენსია“, 8 მატჩი, 1 გოლი), ხულენ გერერო ლოპესი (1974. 7.1. 179 სმ. 71 კგ. ბილბაოს „ატლეტიკი“, 38 მატჩი, 13 გოლი), ფრანსისკო ხავიერ გონსალეს პერესი, ანუ, მეტსახელად, ფრანი (1969. 14.7. 175 სმ. 72 კგ. ლა-კორუნიას „დეპორტივო“, 13 მატჩი, 2 გოლი). პრეტენზიები, ცხადია, აქვთ სხვა ნახევარმცველებსაც: ხოსე მარია გუტიერეს ერნანდესს, რომელსაც, უბრალოდ, გუტის (მადრიდის „რეალი“) ეძახიან, ხოსება ეჩევერია ლისარდის (ბილბაოს „ატლეტიკი“), ვისენტე ენგონგა მატეს („მალიორკა“), ფრანსისკო ხოსე დე პედრო ფალკეს (სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადი“), ივან ელგერა ბუხიას (მადრიდის „რეალი“) და ხუან კარლოს ვალერონ სანტანას (მადრიდის „ატლეტიკო“).

შუა ხაზი, უწინარეს ყოვლისა, საიერიშოდ არის შემართული. მენდიეტა შეტევების შესანიშნავი მესაჭეა, გერეროს ხშირად გააქვს გოლი, გვარდიოლა ენერგიულობით გამოირჩევა და ჩინებული გადაცემებით ამარაგებს თავდასხმას. ერთი სიტყვით, კამაჩოს ნახევარმცველების დიდი იმედი აქვს.

თავდასხმაში ლაპარაკი შეიძლება ხუთ ძირითად პრეტენდენტზე. რა თქმა უნდა, ესპანეთის ნაკრები წარმოუდგენელია რაულ გონსალეს ბლანკოს (1977. 27.6. 180 სმ. 66 კგ. მადრიდის „რეალი“, 30 მატჩი, 16 გოლი) ნაკრებში — იგი თანდათან ჩამოყალიბდა, როგორც თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი. მრავალ სხვა ღირსებებთან ერთად, რაული შეუდრეკელი მებრძოლია და მის გოლებს სულ ბოლო მომენტში არაერთხელ მოუტანია ნაკრებისათვის წარმატება. რაულთან წყვილი შეიძლება შეადგინოს ისმაელ ურსაის არანდამ (1971. 7.10. 188 სმ. 84 კგ. ბილბაოს „ატლეტიკი“, 16 მატჩი 8 გოლი) ან ფერნანდო მორიენტეს სანჩესმა (1976. 5.4. 184 სმ. 78 კგ. მადრიდის „რეალი“, 12 მატჩი, 9 გოლი). შესარჩევ თამაშებში რაულმა გაიტანა 11 გოლი, ურსაისმა — 6. შემდეგ მიმომხილველთა აზრით, ურსაისმა უარესად დაიწყო თამაში და ამიტომ ახლა შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს რაულის მუდმივ პარტნიორს მადრიდის „რეალში“ — მორიენტესს. ევროპის პირველობისათვის მოემზადებიან აგრეთვე დანიელ გარსია ლარა, ანუ, უბრალოდ, დანი („ბარსელონა“) და პედრო მუნიტეს ალვარესი (სანტანდერის „რასინგი“). ცხადია, არ არის გამორიცხული სხვა პრეტენდენტების დასახელებაც. ეს ხომ კამაჩოს სამუშაო პრინციპიდან გამომდინარეობს.

აი რას ამბობს ნიგერიის ნაკრების მეკარე მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე პეტერ რუფაი, რას ფიქრობს იგი ესპანელების შესახებ:

— როცა ესპანელებზე ვლაპარაკობთ, სხვა სიტყვებზე უფრო ხშირად უნდა ვიხმაროთ „გუნდური თამაში“. დიახ, იგი მათ მშვენივრად აქვთ ორგანიზებული. შეიძლება ითქვას, უკეთესადაც კი, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ სხვა ნაკრებს. ამიტომ ყველა სხვა გუნდის მეტად ძნელ მეტოქედ ითვლება. საქმე ის არის, რომ ესპანელები არ არიან დამოკიდებული რომელიმე ერთ მოთამაშეზე, როგორც ვთქვათ, ბრაზილიელები რივალდოზე ან რონალდოზე, ან ფრანგები — ზიდანზე. ამიტომ მეტისმეტად ძნელია ესპანეთის ახლანდელ ნაკრებს რაიმე სერიოზული ნაკლი მოუნახო. თუკი ჩვენ, ნიგერიელებს, 1994 წელს მსოფლიო პირველობაზე იტალიელების დასამარცხებლად მხოლოდ ერთი მოთამაშის, რობერტო ბაჯოს თამაშიდან გამორთვაც გვეყო, ოთხი წლის შემდეგ საფრანგეთში, ამავე მიზნით, უკვე 11 ესპანელის გაუვნებლება გახდა საჭირო. თუმცა, არის ერთი კარგად გამოცდილი მეთოდი, როგორ უნდა ებრძოლო ასეთ კოლექტივს. საჭიროა სწორედ გუნდური თამაშით აჯობო. ვის გამოვყოფდი ესპანელთაგან? როგორც მეკარე, ჩემს კოლეგებს ვურჩევდი უფრთხოდნენ ალფონსოსა და ლუის ენრიკეს.

რუფაიმ ერთი რამ არ გაითვალისწინა — ჯერჯერობით ალფონსო ნაკრების კანდიდატებს შორის არ არის დასახელებული, თუმცა შეიძლება მდგომარეობა შეიცვალოს, ლუის ენრიკეს მძიმე ტრავმაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ.

**გივი გამრეკელი**

---

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### კაპელო „რომაში“ რჩება

**როგორც „რომას“ პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ განაცხადა, მთავარ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს კონტრაქტი კლუბთან 2003 წლამდე გაგრძელდება.**

**დღეისათვის, ცხადია, ნათელი არაა, როგორ შეფასდება კაპელოს მუშაობა ახლანდელ სეზონში: საჩემპიონო ბრძოლაზე „რომამ“ ხელი კი აიღო, მაგრამ, ვინ იცის, შეიძლება ჩემპიონთა ლიგას გამოჰკრას ხელი.**

### „არ ვიცი რა ხდება“

მას შემდეგ, რაც ვოლგოგრადის „როტორის“ წამყვანი ფეხბურთელი, ცნობილი სნაიპერი ოლეგ ვერეტენიკოვი საბერძნეთში, სალონიკის „არისში გადავიდა, მას აშკარად თამაში არ უხდება, რითაც დიდად გაკვირვებულია.

ვერეტენიკოვის აზრით, თამაშის დონის მიხედვით საბერძნეთისა და რუსეთის ჩემპიონატებს შორის დიდი განსხვავება არ არის, არ იცის, რა ხდება, რატომ არის იგი იგნორირებული და არ გამორიცხავს, რომ შეიძლება „როტორში“ დაბრუნდეს.

### რაღა რჩება რონალდოს რეკორდამდე?

რონალდომ პირველივე სეზონში იტალიის ლიგაში „სერია A-ში“ 25 გოლი გაიტანა. ახლა ანდრეი შევჩენკოს, შესაძლებლობა აქვს მოხსნას ეს რეკორდი. XXXI ტურის შემდეგ, ე.ი. იტალიის ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე, მას გატანილი აქვს 22 გოლი.

### „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით

**დიდი გამოხმაურება მოჰყვა რომის გაზეთ „გაძეტა დელლო სპორტის“ ცნობას იმის შესახებ, მომავალი სეზონიდან რივალდო რომის „ლაციოში“ ითამაშებს.**

**გაზეთის ცნობით, კატალონიური კლუბი დათანხმდა რივალდოს გაყიდვას 9 მილიარდ პესეტის ფასად, ეს კი 51,5 მილიონი დოლარია. ეს მილიონნახევარი დოლარით მეტია, ვიდრე თვით რომაელებმა მიიღეს „ინტერისათვის“ კრისტიან ვიერის მიყიდვით. კონტრაქტი ხუთწლიანია, ამასთან, რივალდო წელიწადში 5,7 მილიონს მიიღებს.**

**დასაწყისში „ლაციო“ „ბარსელონას“ სხვა ვარიანტს სთავაზობდა: რივალდოს გაცვლას მარსელო სალასში, ან დარკო სტანკოვიჩსა, გნებავთ ალენ ბოკშიჩსა და მათიას ალმეიდაში, ცხადია, სათანადო თანხის დამატებით მას შემდეგ, რაც „ბარსელონამ“ ეს წინადადებები არ მიიღო, „ლაციოს“ მთლიანად დიდი თანხის გადახდა მოუხდა. მართალია, დასაწყისში კლუბების პრეზიდენტები შეთანხმდნენ გადაწყვეტილება საიდუმლოდ შეენახათ, რომ „ბარსელონას“ გულშემატკივრები არ გაენერვიულებინათ. „ლაციოს“ სენსაციურმა მარცხმა „ვალენსიასთან“ ჩემპიონთა ლიგაში კლუბის აქციები 4 პროცენტით დასცა და გადაწყდა რივალდოს ყიდვის ფაქტი გამოექვეყნებინათ.**

**რივალდოს კონტრაქტი „ბარსელონასთან“ კიდევ სამ წელიწადს უნდა გაგრძელებულიყო. თავიდან „ბარსელონა“ ბრაზილიელ ფეხბურთელში, არც მეტი, არც ნაკლები, 89,8 მილიონ დოლარს მოითხოვდა, მაგრამ შემდეგ ეს თანხა თითქმის ორჯერ შეამცირა. აქ იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ ძლიერ დაიძაბა რივალდოს ურთიერთობა მწვრთნელ ვან გაალთან და საქმე ერთ მომენტში იქამდეც კი მივიდა, რომ მსოფლიოს №1 ფეხბურთელი (მართალია, მცირე დროით) სათადარიგოთა სკამზეც აღმოჩნდა.**

### გულშემატკივრებთან მეტი მუშაობაა საჭირო

პროფესიული საფეხბურთო ლიგის საბჭომ სპეციალური მიმართვა გაუგზავნა რუსეთის ფეხბურთის კავშირს, სადაც მოუწოდებს ძალმომრეობის ფაქტებთან დაკავშირებით გულშემატკივრებთან მუშაობის გაუმჯობესებისაკენ. ამ მხრივ კლუბებმაც მკვეთრად უნდა გააუმჯობესონ მუშაობა.

### „რა აქვს საერთო ფეხბურთთან შუასაუკუნოებრივ მუშტი-კრივს“

**სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის ხელმძღვანელებმა და მოთამაშეებმა მიმართეს ფეხბურთის მოყვარულებს ებრძოლონ „შუასაუკუნოებრივ მუშტიკრივს“, რომელსაც ფეხბურთთან „საერთო“ არაფერი აქვს. მას ხომ ამას წინათ „ზენიტსა“ და მოსკოვის „დინამოს“ შეხვედრისას 15 წლის ყმაწვილი შეეწირა, რომელიც ფეხბურთზე სულ მეორედ იყო. „გავანთავისუფლოთ რუსული ფეხბურთი ძალდატანების, შეჯახებებისა და სისხლისაგან“. ხელს აწერენ „ზენიტის“ პრეზიდენტი მუტკო, მთავარი მწვრთნელი დავიდოვი და ფეხბურთელები.**

### „კიევის „დინამომ“ ამდენივე რომ მოგცეს?“

„კიევის „დინამომ ისეთი კონტრაქტი რომ დაგიდოთ, რომელიც მატერიალური თვალსაზრისით ისეთივე იქნება, როგორც ხელშეკრულება „მილანთან“, მაინც იტალიაში დარჩებოდით? — ჰკითხეს ანდრეი შევჩენკოს.

— საქმე ფულში არ არის, რომელზეც დღეისათვის საერთოდ არა ვფიქრობ. თითოეული ფეხბურთელი ოცნებობს იტალიის ჩემპიონატზე, რომელსაც დღეს მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს. როგორ შემეძლო არ გამომეყენებინა ასეთი მშვენიერი შესაძლებლობა. ვფიქრობ, მილანში სწორედ კარგ დროს გადმოვედი, მას შემდეგ, რაც კიევის „დინამომ“ შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და ევროპაში სახელი გაითქვა. ახლა ჩემთვის „მილანში“ თამაშს დიდი მნიშვნელობა აქვს.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

**დიდი გუნდების მესაჭეები**

# დინო ძოფი - რეკორდების „მჭედელი“

დინო ძოფის სპორტული კარიერა შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს. პირველი, როცა იგი მეკარედ თამაშობდა, ნამდვილად ბრწყინვალე იყო, მეორის – სამწვრთნელო მუშაობის შეფასება ჯერ ნაადრევია, მაგრამ უკვე ამ ზაფხულს მის შესახებაც იტყვიან კატეგორიულ სიტყვებს.

დინო ძოფი (ანუ „დინო ნაციონალე“, „პაპა დინო“) დაიბადა 1942 წლის 28 თებერვალს. შეიძლება ბევრს გაუკვირდეს კიდეც, მაგრამ იგი ტომით იტალიელი არ გახლავთ. ბალკანური მოდგმის ფრიულები ცხოვრობენ ჩრდილოეთ იტალიაში, ფრიული-ვენეცია-ჯულიას პროვინციაში. ვინ იცნობდა ჩვენი საუკუნის 60-იან წლებამდე ფრიულებს? ალბათ, ძალიან ცოტა ვინმე...

19 წლის ძოფმა თავისი კარიერა „უდინეზეში“ დაიწყო, რომელსაც მაშინ დღევანდელზე გაცილებით ნაკლები სახელი ჰქონდა. არც ძოფი თამაშობდა მაშინ დიდი წარმატებით: სამ სეზონში – 40 მატჩი, თავი მაინცდამაინც არ გამოუჩენია, მაგრამ თანდათანობით ბევრი რამ ისწავლა. 1963-67 წლებში იგი უკვე „მანტოვაში“ გამოდიოდა. ეს ის კლუბია, რომელიც ახლა ბევრს არავის ახსოვს, მაშინ კი კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა. ეს პერიოდიც ძოფის „მოწაფეობის წლებს“ მივაკუთვნოთ.

აი, „ნაპოლიში“ თამაში (1967-72) კი სულ სხვა იყო. ძოფი იტალიური ფეხბურთის ავანსცენაზე გამოვიდა, უკვე შესანიშნავ მეკარედ ითვლებოდა და ეროვნულ ნაკრებშიც მიიღო მიწვევა. პირველი მატჩი „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში ძოფმა ნეაპოლის „სან-პაოლოს“ სტადიონზე 1968 წლის 20 აპრილს ჩაატარა და, როგორც შემდეგ ნათელი გახდა, მეკარის პრობლემა იტალიის ნაკრებში მრავალი წლით მოიხსნა. პირველივე მატჩში (ევროპის პირველობის მეოთხედფინალი ბულგარელებთან, 2-0) ძოფმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. ამას სხვა ბრწყინვალედ წარმართული შეხვედრები მოჰყვა, პირველი მარცხი კი ახალგაზრდა მეკარემ მხოლოდ მეთერთმეტე მატჩში იწვნია. 1972-83 წლებში იგი ტურინის „იუვენტუსში“ გამოდიოდა.

ახლა რამდენიმე სიტყვა ძოფზე, როგორც რეკორდების „მჭედელზე“. ერთი მათგანია 1972-74 წლებში 1143 წუთის განმავლობაში იტალიის ნაკრების კარი კარგად ჩარაზა – ამ ხნის განმავლობაში ძოფს ერთი გოლიც არ გაუშვია, რაც განუმეორებელი მსოფლიო რეკორდია. როცა 1983 წელს ძოფმა ნაკრებში 112-ე მატჩი ითამაშა (შვედებთან, გეტებორგში), ეს უკვე მისი ეროვნული რეკორდი იყო. შეიძლება მალდინიმ ეს რეკორდი გააუმჯობესოს, მაგრამ ეს წელს არ მოხდება. როცა ძოფს გადაასწრებს, მაშინ ვილაპარაკოთ... ძოფის კიდევ ერთი რეკორდია 570 მატჩი „სერია A“-ში 23 სეზონის განმავლობაში, საშუალოდ 25 მატჩი ერთ სეზონში. 1968 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა, 1982 წელს მსოფლიო ჩემპიონი.

სათამაშო კარიერის დამთავრების შემდეგ ძოფი პროფესიონალი მწვრთნელია. წვრთნიდა ჯერ „იუვენტუსს“, შემდეგ „ლაციოს“. 1994-98 წლებში „ლაციოს“ პრეზიდენტი იყო. 1998 წლის 21 ივლისიდან იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

ამ პოსტზე დათანხმება, თუ გნებავთ, თავის ყულფში გაყოფას ჰგავს. არსად არ არის ისეთი აჟიოტაჟი ფეხბურთის ირგვლივ, როგორც აპენინის ნახევარკუნძულზე. მოსახლეობის დიდი ნაწილი, თითქოს სხვა არანაირი დარდი არა აქვსო, ფეხბურთით ცხოვრობს. იტალიელები ყველაფერს ფეხბურთს ადარებენ და, ასე გასინჯეთ, ასეთი „მიგნებაც“ კი აქვთ: „შეხედეთ აპენინის ნახევარკუნძულის კონტურებს და კუნძულ სიცილიას, განა ეს არ ჰგავს ფეხს, რომელიც ბურთს აგორებს.“ იტალიის ნაკრების მოთამაშეები და განსაკუთრებით კი მწვრთნელები, თითქმის სტრესულ მდგომარეობაში არიან. შეიძლება მწვრთნელი ქუჩაში ნებისმიერმა „ტიფოზიმ“ შეაჩეროს, არც გამარჯობა უთხრას და არც ის, აქვს თუ არა მას დრო: აუცილებლად ჩათვლის გააცნოს ნაკრების შემადგენლობა, იმასაც იტყვის, რომ სწორედ ეს ვარიანტია საუკეთესო. ასეთი წარმოუდგენელი ფსიქოლოგიური ზეწოლა ნაკრებზე მხოლოდ უარყოფითად თუ მოქმედებს. ერთი სიტყვით, ამ ზაფხულს ძოფი ან კვლავ „დინო ნაციონალედ“, „ერის საკუთრება დინოდ“ დარჩება, ან შეიძლება ყველაფერიც დაკარგოს. მეორე შესაძლებლობასაც ნუ გამოვრიცხავთ: გულშემატკივრებს უკვე არ მოეწონათ, რომ ევროპის ჩემპინატის შესარჩევ მატჩებში ძოფი მეტისმეტად ფრთხილობდა (იცოდა, მარცხის შემთხვევაში რა ელოდა!), ე, მანდ საკუთარ კარში გოლი არ გავუშვაო, ლამის „კატენაჩიო“ აღორძინა. ის კია, რომ ფინალური ნაწილის წილისყრისას, ექსპერტების აზრით, იტალიის ნაკრებს მაინც გაუმართლა: იგი წინასწარ ჯგუფში ჯერ თურქებს, შემდეგ კი ბელგიელებსა და შვედებს შეხვდება. სხვა ჯგუფში მოხვედრა უარესი იქნებოდა.

დინო ძოფი (მარცხნივ) და კრისტიან ვიერი წვრთნისაა

თავშეკავების უნარი ძოფს, იცოცხლეთ, აქვს, და ჯერჯერობით მოთმინებას არა ჰკარგავს. „ყველანი ერთსა და იმავეზე ლაპარაკობენ: იტალიური ფეხბურთის დაცემაზე. ისინი იტალიური კლუბების მარცხს იმოწმებენ როგორც უეფას, ისე ჩემპიონთა თასებზე. ასეა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატამდე მოვიცადოთ, სწორედ ეს შეჯიბრებაა ყველაფრის საზომი“ – ამბობს ძოფი.

თუ ადრე ძოფს უსაყვედურებდნენ, რომ ამდენი (ბევრის აზრით, უნაყოფო) ექსპერიმენტი ჩაატარა, ახლა ეს პერიოდი ნაკრებში დასრულდა. იმასაც ამბობდნენ, რომ სამი მცველით თამაშმა არ გაამართლა. ძოფიც ადგა და ოთხი მცველიან სქემას დაუბრუნდა. ახლა საბრძოლო შემადგენლობის დადგენის დრო დადგა. აქაც ბევრი პრობლემაა. იტალიის ნაკრების უძლიერესი თავდამსხმელი კრისტიან ვიერი დაშავებულია. ევროპის ჩემპიონატის დროისათვის ან ჩადგება მწყობრში ან არა, ალესანდრო დელ პიერომ ტრავმის გამო მთელი წელი გააცდინა, რაც გამოჯანმრთელდა, თუ საჯარიმოების გამოყენებას არ ჩავთვლით, გოლი არ გაუტანია! ფილიპო ინძაგიც ვერ თამაშობს ჩვეული ძალით. მოდი და ამის შემდეგ ნუ დაუბრუნდები სხვადასხვა „კლიტეებს“, თუმცა ისინი ძალზე არაპოპულარულია. „მთავარი მწვრთნელი არ შეიძლება ყველას მოსწონდეს. ნაკრებში გამოსვლის მსურველი კი ბევრია, მაგრამ რომ გადავწყვიტო, ყველა მოთამაშეს ავუხსნა, რატომ არ ვიძახებ შეკრებაზე, მაშინ ტელეფონთან საათობით უნდა ვიჯდე. ამასთან ერთად, ძოფი იმასაც ამბობს, რომ ჯერჯერობით ნაკრების კარი ყველასათვის ღიაა.

ძოფს არასოდეს ჰქონდა ცუდი ურთიერთობა ჟურნალისტებთან, ახლაც ყველა იმას ეკითხება, რას აპირებს ევროპის პირველობის ფორუმზე. „არ ვიჩქარებდი ამაზე ლაპარაკს. ჯგუფში სუსტი მეტოქეები არა გვყავს. შვედებზე დღეისათვის ცოტა რამ ვიცი, ის კი ცნობილია, რომ ისინი ჩინებულად გამოვიდნენ ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში. ბელგიელები შინ თამაშობენ, ეს მათ გარკვეულ უპირატესობას აძლევს. თურქეთის ნაკრები ამ ბოლო ხანებში კარგ შედეგებს აღწევს. მას მთელი სერიოზულობით უნდა მოვექცეთ. თუ ფავორიტებზე მეკითხებით, დავასახელებდი ფრანგებს, ჰოლანდიელებს, იუგოსლაველებს. ჩვენი მიზანია ნახევარფინალში გასვლა. ეს რეალურად მეჩვენება, მაგრამ ამისათვის ჩვენი შესაძლებლობები არც გადაჭარბებით უნდა შევაფასოთ და არც იმაზე ნაკლებად, რისი მიღწევაც შეგვიძლია“.

**ბიჟი ბამრეკელი**

# ეროვნული ჩემპიონატები

## ინგლისი ● XXXIV ტური

**ბრედფორდი — დერბი 4-4**
*გოლები:* დელაპი, 1 (0-1). სტრუპარი, 6 (0-2). უიხდესი, 11 (1-2). უიხდესი 18 (2-2). ბიგრი, 27-პენ. (3-2). ბარლი, 36-პენ. (3-3), უინდესი 43 (4-3), ბარლი 52-პენ. (4-4).
*გაძევება:* დელაპი, 26 (დ).
**ევერტონი — ლივერპული 0-0**
**ასტონ ვილა — ლესტერი 2-2**
*გოლები:* ტომპსონი, 31 (1-0). ელიოტი, 36 (1-1). მერსონი, 48 (2-1). ლენონი, 67 (2-2).
**ჩელსი — მიდლსბრო 1-1**
*გოლები:* პოიეტი, 10 (1-0). რიკარდი, 37 (1-1).
**შეფილდი — სანდერლენდი 0-2**
*გოლები:* ფილიპსი, 86. ფილიპსი, 90.
**საუთჰემპტონი — მანჩესტერი 1-3**
*გოლები:* ბეგჰემი, 7 (0-1). ბენალი, 15-საკ. კარში (0-2). სოლსკიაერი, 29 (0-3). პახარსი, 83 (1-3).
**ვესტ ჰემი — ქოვენთრი 5-0**
*გოლები:* ქერიკი, 7. მარგასი, 14. დი კანიო, 48. დი კანიო, 67. კანუტი, 83.
**ტოტენჰემი — უიმბლდონი 2-0**
*გოლები:* არმსტრონგი, 8. ანდერტონი, 36.
**ნიუკასლი — ლიდსი 2-2**
*გოლები:* ბრიჯისი, 13 (0-1). უილკოქსი, 17 (0-2). შირერი, 24 (1-2), შირერი, 48 (2-2).
**უოტფორდი — არსენალი 2-3**
*გოლები:* ანრი, 18 (0-1). პარლორი, 43 (0-2). ანრი, 45 (0-3). ჰელგუსონი, 58 (1-3). ჰიდე, 60 (2-3).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მანჩესტერი** | 34 | 24 | 7 | 3 | 87-40 | 79 |
| **ლივერპული** | 34 | 19 | 9 | 6 | 51-25 | 66 |
| **არსენალი** | 33 | 19 | 6 | 8 | 63-34 | 63 |
| **ლიდსი** | 33 | 19 | 4 | 11 | 51-41 | 61 |
| **ჩელსი** | 34 | 16 | 11 | 7 | 44-29 | 59 |
| **ასტონ-ვილა** | 35 | 15 | 11 | 9 | 43-31 | 56 |
| **სანდერლენ.** | 34 | 15 | 9 | 10 | 54-51 | 54 |
| **ვესტ ჰემი** | 34 | 15 | 9 | 10 | 51-49 | 54 |
| **ევერტონი** | 35 | 12 | 13 | 10 | 58-45 | 49 |
| **ტოტენჰემი** | 35 | 14 | 7 | 14 | 52-44 | 49 |
| **ნიუკასლი** | 34 | 12 | 8 | 14 | 55-50 | 44 |
| **ლესტერი** | 34 | 13 | 7 | 14 | 48-49 | 44 |
| **მიდლსბრო** | 34 | 12 | 8 | 14 | 40-49 | 44 |
| **ქოვენთრი** | 35 | 11 | 8 | 16 | 43-50 | 41 |
| **საუთჰემპტ.** | 34 | 11 | 7 | 16 | 42-58 | 40 |
| **დერბი** | 34 | 8 | 9 | 17 | 41-52 | 33 |
| **უიმბლდონი** | 35 | 7 | 11 | 17 | 44-67 | 32 |
| **შეფილდი** | 34 | 7 | 6 | 21 | 30-60 | 27 |
| **ბრედფორდი** | 34 | 6 | 9 | 19 | 33-65 | 27 |
| **უოტფორდი** | 34 | 5 | 5 | 24 | 30-70 | 20 |

*ბომბარდირები:* ფილიპსი („სანდერლენდი“) — 29; შირერი („ნიუკასლი“) — 21, კოული („მანჩესტერი“) — 19; იორკი („მანჩესტერი“) — 17.

## იტალია ● XXXI ტური

**იუვენტუსი — ფიორენტინა 1-0**
*გოლი:* დელ პიერო, 45 — პენ.
**პიაჩენცა — ლაციო 0-2**
*გოლები* სიმეონე, 60. ვერონი, 67.
**რეჯინა — მილანი 1-2**
*გოლები:* ვარგასი, 6-საკ. კარში (0-1). შევჩენკო, 13 (0-2). პირლო, 25 (1-2).
**ინტერი — ბარი 3-0**
*გოლები:* კოე, 23. ბლანი, 35. ბაჯო, 51.
**რომა — პარმა 0-0**
**უდინეზე — ტორინო 0-0**
**ბოლონია — პერუჯა 2-1**
*გოლები:* სინიორი, 14 (1-0). კ. ანდერსონი, 15 (2-0), ამორუზო, 20 (2-1).
**ლეჩე — კალიარი 2-1**
*გოლები:* ბონომი, 16 (1-0). ბონომი, 51 (2-0). კონტო, 90 (2-1).
**ვენეცია — ვერონა 2-2**
*გოლები:* ბუდანი, 11 (1-0), განცი, 78 (2-0). ადაილტონი, 80 (2-1). სალვეტი, 87 (2-2).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იუვენტუსი** | 31 | 20 | 8 | 3 | 45-17 | 68 |
| **ლაციო** | 31 | 18 | 8 | 4 | 55-29 | 63 |
| **მილანი** | 31 | 14 | 12 | 5 | 59-39 | 54 |
| **პარმა** | 31 | 15 | 9 | 7 | 48-35 | 54 |
| **ინტერი** | 31 | 15 | 7 | 9 | 54-31 | 52 |
| **რომა** | 31 | 14 | 9 | 8 | 54-31 | 51 |
| **უდინეზე** | 31 | 12 | 10 | 9 | 53-40 | 46 |
| **ფიორენტინა** | 31 | 10 | 12 | 9 | 38-38 | 42 |
| **რეჯინა** | 31 | 9 | 12 | 10 | 29-36 | 39 |
| **პერუჯა** | 31 | 11 | 6 | 14 | 33-48 | 39 |
| **ბოლონია** | 31 | 9 | 11 | 11 | 27-33 | 38 |
| **ვერონა** | 31 | 9 | 11 | 11 | 35-42 | 38 |
| **ლეჩე** | 31 | 9 | 10 | 12 | 30-41 | 37 |
| **ბარი** | 31 | 9 | 7 | 15 | 32-47 | 34 |
| **ტორინო** | 31 | 6 | 12 | 31 | 30-43 | 30 |
| **ვენეცია** | 31 | 6 | 8 | 17 | 28-53 | 26 |
| **კალიარი** | 31 | 3 | 11 | 17 | 26-49 | 20 |
| **პიაჩენცა** | 31 | 4 | 8 | 19 | 17-41 | 20 |

*ბომბარდირები:* შევჩენკო („მილანი“) — 22; კრესპო („პარმა“) — 21; ბატისტუტა („ფიორენტინა“) — 18; მონტელა („რომა) — 17; ფ. ინძაგი („იუვენტუსი“) — 15.

ბექჰემი

## ესპანეთი ● XXXIV ტური

**მალაგა — რაიო ვალეკანო 2-0**
*გოლები:* დარიო სილვა, 32. მუსამპა, 80.
**ვალიადოლიდი — ესპანიოლი 1-0**
*გოლი:* როდრიგო, 89.
**ნუმანსია — სარაგოსა 1-2**
*გოლები:* ივან როჩა, 1-საკ. კარში (0-1). იორდი, 6 (0-2), ივან როჩა, 45-პენ (1-2).
**ბარსელონა — სევილია 2-0**
*გოლები:* კლუივერტი, 20. ლიტმანენი, 90.
**ატლეტიკო — სელტა 1-0**
*გოლი:* ურსაისი, 87.
**რეალი — რასინგი 2-4**
*გოლები:* რობერტო კარლოსი, 27 (1-0). მანხარინი, 29 (1-1). ვივიარ დორადო, 44 (1-2). სალვა, 56 (1-3). საკმანამანი, 58 (2-3). სალვა, 75-პენ (2-4).
**ვალენსია — ატლეტიკო 2-0**
*გოლები:* კლაუდიო ლოპესი, 23. ანგულო, 90.
**დეპორტივო — სოსიედადი 2-0**
*გოლები:* მაკაი, 34. სესარი, 42.
*გაძევება:* სა პინტუ, 68 (ს).
**ბეტისი — ალავესი 0-1**
*გოლი:* კოდრო, 52-პენ.
*გაძევება:* ნან რიბერა, 57 (ა).
**ოვიედო — მალიორკა 0-0**
*გაძევება:* ხუან გონსალესი, 66 (ო).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დეპორტივო** | 34 | 20 | 4 | 10 | 60-40 | 64 |
| **ბარსელონა** | 34 | 18 | 5 | 11 | 65-42 | 59 |
| **სარაგოსა** | 34 | 15 | 13 | 6 | 52-35 | 58 |
| **რეალი** | 34 | 14 | 14 | 6 | 54-46 | 56 |
| **ვალენსია** | 34 | 15 | 9 | 10 | 50-36 | 54 |
| **ალავესი** | 34 | 14 | 9 | 11 | 36-33 | 54 |
| **ვალიადოლ.** | 34 | 12 | 11 | 11 | 33-39 | 47 |
| **მალაგა** | 34 | 11 | 13 | 10 | 50-44 | 46 |
| **ესპანიოლი** | 34 | 12 | 10 | 12 | 51-42 | 46 |
| **რაიო ვალეკ.** | 34 | 14 | 7 | 14 | 46-43 | 46 |
| **მალიორკა** | 34 | 12 | 9 | 13 | 42-41 | 45 |
| **სელტა** | 34 | 13 | 6 | 15 | 40-40 | 45 |
| **ატლეტიკი** | 34 | 11 | 11 | 12 | 43-54 | 44 |
| **რასინგი** | 34 | 10 | 12 | 12 | 49-47 | 42 |
| **სოსიედადი** | 34 | 10 | 12 | 12 | 39-43 | 42 |
| **ნუმანსია** | 34 | 10 | 10 | 14 | 42-52 | 40 |
| **ოვიედო** | 34 | 9 | 11 | 14 | 37-54 | 38 |
| **ბეტისი** | 34 | 9 | 9 | 16 | 28-49 | 36 |
| **ატლეტიკო** | 34 | 8 | 9 | 17 | 43-57 | 33 |
| **სევილია** | 34 | 5 | 12 | 17 | 40-56 | 27 |

*ბომბარდირები:* ჰასელბანკი („ატლეტიკო“), სალვა ბალესტა („რასინგი“), კატანია („მალაგა“) — 23-23; მილოშევიჩი („სარაგოსა“), მაკაი („დეპორტივო“) — 19-19.

## უკრაინა ● XXI ტური

**ზირკა — დინამო 1 -4**
კალაძემ 90 წუთი ითამაშა, დემეტრაძემ მხოლოდ მეორე ტაიმი.
**მეტალურგი (დ) — ტავრია 0-0**
**ჩერნომორეცი — დნეპრი 2-2**
**კარპატი — კრივბასი 1-0**
**მეტალისტი — ვორსკლა 2-1**
**ცსკა — მეტალურგი (ზ) 1-0**
**ნივა — შახტიორი 1-1**
**მეტალურგი (მ) — პრიკარპატიე 2-0**

დელ პიერო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დინამო** | 21 | 19 | 2 | 0 | 59-11 | 59 |
| **შახტიორი** | 21 | 13 | 3 | 5 | 34-10 | 42 |
| **კრივბასი** | 21 | 12 | 6 | 3 | 37-20 | 42 |
| **ვორსკლა** | 21 | 11 | 5 | 5 | 40-21 | 38 |
| **მეტალისტი** | 21 | 9 | 4 | 8 | 28-26 | 31 |
| **მეტალურ.(ზ)** | 21 | 8 | 6 | 7 | 25-21 | 30 |
| **კარპატი** | 21 | 10 | 0 | 11 | 29-28 | 30 |
| **მეტალურ.(დ)** | 21 | 7 | 8 | 6 | 23-21 | 29 |
| **მეტალურ.(მ)** | 21 | 9 | 1 | 11 | 33-34 | 28 |
| **ცსკა** | 21 | 6 | 7 | 8 | 21-25 | 25 |
| **პრიკარპატიე** | 21 | 6 | 6 | 9 | 18-29 | 24 |
| **დნეპრი** | 21 | 5 | 7 | 9 | 19-37 | 22 |
| **ტავრია** | 21 | 5 | 5 | 11 | 24-36 | 20 |
| **ნივა** | 21 | 4 | 7 | 10 | 26-40 | 19 |
| **ჩერნომორ.** | 21 | 4 | 5 | 12 | 11-37 | 17 |
| **ზირკა** | 21 | 0 | 8 | 13 | 11-42 | 8 |

*ბომბარდირები:* რებროვი („დინამო“) — 16; გეცკო („კარპატი“) — 13; მაზიარი („ვორსკლა “) — 10.

## გერმანია ● XXXI ტური

**ჰანზა — დუისბურგი 3-1**
*გოლები:* ვიბრანი, 22 (1-0). აგალი, 35 (2-0). კოვაჩეცი, 84 (3-0). ბაიერლე, 85 (3-1).
**ფრაიბურგი — შალკე 2-1**
*გოლები:* ასამოა, 6 (1-0). კობიაშვილი 17 (1-1). კონდე, 75 (2-1).
**ვოლფსბურგი — კაიზერსლაუტერნი 3-2**
*გოლები:* პეტერსონი, 22 (0-1). შიონბერგი, 39-პენ (0-2). ბანზა, 63 (1-2). რიშე, 69 (2-2). კრიგერი, 76 (3-2).
**მიუნხენი — შტუტგარტი 1-1**
*გოლები:* ჰოსნი, 83 (0-1). ჰესლერი, 89 (1-1).
*გაძევება:* გრაიხილი, 51 (მ).
**ულმი — ჰერტა 0-1**
*გოლი:* რემერი, 51.
**არმინია — უნტერჰახინგი 1-0**
*გოლი:* ვაისენბერგი, 65.
**ბორუსია — ბაიერნი 0-1**
*გოლი:* სალიჰამიჯიჩი, 30.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბაიერი** | 31 | 19 | 10 | 2 | 68-33 | 67 |
| **ბაიერნი** | 31 | 19 | 7 | 5 | 63-26 | 64 |
| **ჰამბურგი** | 31 | 15 | 10 | 6 | 59-36 | 55 |
| **ჰერტა** | 31 | 13 | 10 | 8 | 38-41 | 49 |
| **მიუნხენი** | 31 | 13 | 9 | 9 | 50-44 | 48 |
| **ვოლფსბურგი** | 31 | 11 | 13 | 7 | 49-51 | 46 |
| **კაიზერსლ.** | 31 | 14 | 4 | 13 | 46-54 | 46 |
| **ვერდერი** | 31 | 12 | 8 | 11 | 60-48 | 44 |
| **შტუტგარტი** | 31 | 13 | 5 | 13 | 36-41 | 44 |
| **უნტერჰახინგი** | 31 | 10 | 8 | 13 | 37-39 | 38 |
| **შალკე** | 31 | 8 | 13 | 10 | 39-39 | 37 |
| **ფრაიბურგი** | 31 | 9 | 9 | 14 | 42-47 | 36 |
| **ჰანზა** | 31 | 7 | 14 | 10 | 40-52 | 35 |
| **ბორუსია** | 31 | 7 | 12 | 12 | 35-36 | 33 |
| **აინტრახტი** | 31 | 10 | 5 | 16 | 35-39 | 33 |
| **ულმი** | 31 | 8 | 8 | 15 | 31-54 | 32 |
| **არმინია** | 31 | 6 | 8 | 17 | 34-55 | 26 |
| **დუისბურგი** | 31 | 4 | 9 | 18 | 36-63 | 21 |

*ბომბარდირები:* მაქსი („მიუნხენი“), კირსტენი („ბაიერი“) — 16-16; სანდი („შალკე“) — 13; აილტონი („ვერდერი“), აკპობორი („ვოლფსბურგი“), პრეეცი („ჰერტა“) — 12-12.

## რუსეთი ● V ტური

**ანჟი — ურალანი 2-1**
**ჩერნომორეცი — ტორპედო 1-0**
**ლოკომოტივი (ნნ) — ალანია 1-1**
**სპარტაკი — ცსკა 1-0**
**როტორი — ლოკომოტივი (მ) 0-4**
**ფაკელი — კრ. სოვეტოვი 3-2**
**დინამო — როსტსელმაში 0-0**
**სატურნი — ზენიტი 1-0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ლოკომოტ.(მ)** | 5 | 4 | 1 | 0 | 8-0 | 13 |
| **სპარტაკი** | 5 | 4 | 1 | 0 | 8-2 | 13 |
| **ჩერნომორეცი** | 5 | 3 | 2 | 0 | 8-0 | 11 |
| **ანჟი** | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| **დინამო** | 5 | 2 | 2 | 1 | 3-4 | 8 |
| **ტორპედო** | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| **როტორი** | 5 | 2 | 1 | 2 | 5-8 | 7 |
| **კრ.სოვეტოვი** | 5 | 2 | 0 | 3 | 6-7 | 6 |
| **ზენიტი** | 5 | 2 | 0 | 3 | 3-5 | 6 |
| **ფაკელი** | 5 | 1 | 3 | 1 | 6-6 | 6 |
| **სატურნი** | 5 | 1 | 2 | 2 | 1-6 | 5 |
| **ურალანი** | 5 | 1 | 1 | 3 | 4-6 | 4 |
| **როსტსელმაში** | 5 | 0 | 4 | 1 | 2-3 | 4 |
| **ლოკომოტ.(ნნ)** | 5 | 0 | 3 | 2 | 3-5 | 3 |
| **ალანია** | 5 | 0 | 2 | 3 | 6-10 | 2 |
| **ცსკა** | 5 | 0 | 1 | 4 | 0-7 | 1 |

# ველოტრეკი ახმაურდა...

თბილისის სპორტის სამმართველოს (უფროსი ვლადიმერ კანკავა) ზრუნვით მადლიერთა რიგებს ახლა ტრეკზე ველორბოლის წარმომადგენლებიც შეემატნენ. სპორტის ეს სახეობა, რომელშიაც საამაყო წარმატებები გვქონდა, მხოლოდ თბილისშია დანერგილი და, სავსებით ბუნებრივია, ასპარეზობის გამართვაზე ისევ და ისევ თბილისის სპორტის მესვეურებს უნდა ეზრუნათ. ასეც მოხდა. ამ დღეებში დედაქალაქის ძველ ტრეკზე სტარტზე გამოვიდა 30 მრბოლი.

— თუ ყურადღებას არ მოგვაკლებენ, ტრადიცია უთუოდ აღორძინდება. ნიჭიერი თაობა მოდის, დიდი მადლობა ვლადიმერ კანკავას თანადგომისთვის, — უთხრა „ლელოს“ კორესპონდენტს საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის თავმჯდომარემ ბესო დოლიძემ.

**კვარცხლბეკი. უფროსი ასაკ. სპრინტი:** 1. გიორგი გელაძე, 2. გარი ბეგლაროვი, 3. მიხეილ ზაალიშვილი.

**გიტი 500 მ.:** 1. გარი ბეგლაროვი, 2. მიხეილ ზაალიშვილი, 3. გია ქევხიშვილი.

**1 კმ:** 1. გიორგი გელაძე, 2. გია ქევხიშვილი, 3. გარი ბეგლაროვი.

**უმცროსი ასაკ. სპრინტი.** 1. ლაშა ცეცხლაძე, 2. სერგო მურჯიკნელი, 3. ირაკლი ზაკუტაშვილი. **500 მ:** 1. ლაშა ცეცხლაძე, 2. ირაკლი ზაკუტაშვილი, 3. ლაშა წიქარიშვილი. **ჯგუფური რბოლა:** 1. მიხეილ ზაალიშვილი, 2. გიორგი გელაძე, 3. გია ქევხიშვილი.

**რობერტ ყარსელი**

სურათზე: გამარჯვებულები და პრიზიორები. მარცხნიდან: ირაკლი ზაკუტაშვილი, გიორგი გელაძე, მიხეილ ზაალიშვილი და გია ქევხიშვილი.

# „ერთგულების თასი – 2000“

23 აპრილს, ვაკის პარკში გაიმართა ტრადიციული, მძლეოსნური კროსი „ერთგულების თასი 2000“, რომელიც უკვე 21-ე წელიწადია ტარდება ყოველ აპრილში. მისი ორგანიზატორია რბენის მოყვარულთა კლუბი „კუ“, ბოლო წლებში საზღვარგარეთული ფირმების „პუმასა“ და „ნუეისის“ სპონსორობით. თავიდან კროსის მთავარი ინიციატორი იყო ლექსო ბურნაძე, რის გამოც კროსს მეტსახელად „ლექსოს კროსი“ ეწოდა. წლევანდელი გარბენის დისტანცია მოიცავდა 5240 მეტრს, მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმის, ფოთის, ვანის, ახალციხის, ბორჯომის, ჭიათურის, საგარეჯოს და ახმეტის წარმომდგენლები. იყვნენ ოჯახებიც. რაც შეეხება ასაკს, იგი შეუზღუდავი იყო. ამ დღეს მეტად შთამბეჭდავი იყო ის, რომ მონაწილეებს განსხვავებული ინტერესები გააჩნდათ. ერთი ქალბატონის არ იყოს, ბევრისთვის მთავარი მონაწილეობა იყო და არა გამარჯვება. წმინდა სპორტული ჟინით შეპყრობილნი კი პრიზებისთვისაც იბრძოდნენ, რომელთა შორის მთავარი ჯილდო იყო ან გარდაცვლილი გურამ ნიკოლეიშვილის სახელობის გარდამავალი თასი. აღსანიშნავია, რომ რბენაში გურამის შვილიშვილი 4 წლის გურამ ნიკოლეიშვილიც მონაწილეობდა. მას გადაეცა ყველაზე უმცროსი მონაწილის პრიზი. ყველაზე უფროსი მონაწილე, 65 წლის თბილისელი ჟორა ასტაგესკი იყო. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ახმეტელმა 11 წლის გოგონამ ნინო თათრულაიძემ, რომელმაც გამარჯვებისთვის შეუპოვრად იბრძოლა და მიაღწია კიდეც მიზანს თანატოლებში.



**ვაჟები:** 1. რამაზ ბექაური (გარდ.) – 17.12, 2. ჰამლეტ მამიკონიანი – 17.33, 3. დადაშა კულალაშვილი (ორივე – თბ.) – 17,36.

**ქალები:** 1. ქეთი აბრამიძე (ვანი) – 20.32, 2. ნინო ბურნაძე (ბორჯ.) – 25.26, 3. ლიზა ბურნაძე (თბ) – 26.31.

**ჭაბუკები:** 1. ალიკა ხარაიძე (ახმეტა) – 18.17, 2. დათო გილაშვილი (საგარ.) – 18.21, 3. არსენ ბააძე (ახმეტა) – 18.30.

**გოგონები:** 1. ნანა გუთანაიძე (ახმეტა) – 20.46, 2. სოფიკო ლაბაძე (ახალც.) – 32.27, 3. ნანა კაპანაძე (თბ) – 22.23.

**უმცროსი ასაკის ბიჭები:** 1. ირაკლი ნიკოლეიშვილი (ვანი) – 19.28, 2. ლევან თელაურიძე – 19.50, 3. შალვა რაინაული (ორივე ახმეტა) – 20.16.

**გოგონები:** 1. ნინო თათრულაიძე – 20.17, 2. ანა იჭარაული (ორივე – ახმეტა) – 21.12, 3. ცირა ლომიძე (ახალც.) – 21.24.

**ვეტერანები. მამაკაცები:** 1. ოლეგ ხარაზიშვილი 18.09, 2. ვალერი გედევანიშვილი 18.09, 3. შალვა ნადირაძე (სამივე – თბ.) – 18.24.

**ქალები:** 1. სვეტლანა პავლოვა – 28.00, 2. მარინა ვეფხვაძე – 30.04, 3. თამარ გუგეშაშვილი (სამივე – თბ) – 39.06.

**სპორტული ოჯახები:** 1. ანდრო მეტრეველი, ოლეგ რევაზოვი – 39.52, 2. ნუკრი და გოჩა ვალიშვილები – 40.28, 3. დათო და ზურაბ აფციაურები – 43.57 (ყველა – თბ.).

**ნატო ფეიქრიშვილი,**
**კახა ღვინიაშვილი,**
**ლაშა ტატიკაშვილი.**
**ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ჟურნალისტიკის IV კურსის სტუდენტები.**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები



(მეორე გვერდიდან)

# პარლამენტარი — არმაზ შამანაური

რის. ეს პერიოდი, მხედველობაში მაქვს ბოლო წლები, საერთოდ, საქართველოსთვის და მისი მოსახლეობისათვის მეტად მძიმე გამოდგა. მცხეთის რაიონშიც გაუჭირდა სპორტს. მაგრამ ჩემი ყოფილი თანამშრომლების — სპორტის მესვეურების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მაქსიმალურად შეეცადნენ ნაკლებად დასტყობოდა რაიონს პრობლემები. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ სპორტულ დაწესებულებებს, რომლებიც სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, დაგვიანებოდათ, ან საერთოდ არ მიეღოთ ხელფასი. თქვენ წარმოიდგინეთ იმის საშუალებაც კი გამოიძებნა, შეგვეძინა სპორტული ფორმა — ინვენტარი, რიგ სპორტულ ბაზებს კი რემონტიც ჩაუტარდა. ალბათ იცით, რომ მცხეთისთვის ტრადიციულია სპორტის საწყლოსნო სახეობები, ჩვენ მოვახერხეთ საერთაშორისო სტანდარტების დონის ნავების და სხვა ინვენტარის შეძენა. იყო შემთხვევები, როდესაც ბიუჯეტის ან მოზიდული თანხებით საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებზე მივავლინეთ პარსპექტიული სპორტსმენები, რომლებიც ურიგო შედეგებით არ დაბრუნებულან. სასიხარულოა, რომ ჩვენმა მხარდაჭერამ სპორტსმენებისადმი კარგი შედეგი გამოიღო. ამ ტრადიციას წარმატებით აგრძელებს და ამდიდრებს რაიონის ახალი ხელმძღვანელი ანდრო კალანდაძე, მაგრამ ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაიონში ამ მხრივ რაღაც ოაზისია შექმნილი. პრობლემები უამრავია და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სპორტი და ფიზიკური აღზრდა მომავალი თაობის სწორი, სულიერი და გონებრივი ჩამოყალიბების განუყოფელი ნაწილია, უნდა ვთქვათ, რომ მდგომარეობა, მიუხედავად ზემოაღნიშნული ცალკეული ღონისძიებებისა, მაინც არასახარბიელოა.

● ***როგორ ფიქრობთ ამ არასახარბიელო მდგომარეობიდან შეძლებს ქართული სპორტი თავის დაღწევას სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის გარეშე?***

— რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე წარმოუდგენელია კრიზისიდან გამოსვლა. ყველაფრის თავი და თავი მაინც ფინანსებია. სწორედ ამიტომ არის დღევანდელი ხელისუფლების ძალისხმევა იქითკენ მიმართული, რომ იმატოს შემოსავლებმა და აქედან გამომდინარე დაძლეული იქნას კრიზისი. როგორც ჩემთვის ცნობილია, მუშავდება სპორტის მხარდაჭერის პროგრამა, სადაც განსაზღვრულია პრიორიტეტები. ვფიქრობ, რომ ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას აუცილებლად უნდა მოყვეს დადებითი ძვრები ახალგაზრდობის ფიზიკურად ჩამოყალიბების სფეროში. დღეს ძალიან ძნელია ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ყველა სპორტსმენის და მწვრთნელის სურვილის დაკმაყოფილება. მოგეხსენებათ, ქვეყნის დამოუკიდებლობის მშენებლობა დღის წესრიგში სხვა საკითხებს აყენებს და ალბათ, მადლობა ეთქმის ყველას, ვინც სპორტს ემსახურება და კარგად აქვს შეგნებული ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა, იმედით შეჰყურებენ მომავალს და უხმაუროდ, უპრეტენზიოდ, ენთუზიაზმით, ზოგჯერ საკუთარი ფინანსური საშუალებებით, ყველაფერს აკეთებენ, რათა შეინარჩუნონ თუნდაც მინიმუმი სასურველ პერიოდამდე. ეს ნამდვილად დასაფასებელია. მე იმედიანად ვარ და ძალიან ახლოს ვხედავ იმ დროს, როდესაც სპორტში დასაქმებულ ადამიანებს მუშაობისა და ცხოვრების კარგი პირობები შეექმნებათ.

● ***რა აზრის ბრძანდებით ქვეყანაში ამჟამად არსებული სპორტის მართვის სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შესახებ?***

— მიმაჩნია, რომ სახელმწიფოში უნდა იყოს სპორტის მართვის ერთიანი, მარტივი სისტემა მრავალი უწყებრივი დაქვემდებარების გარეშე. უნდა აღმოიფხვრას მუშაობაში პარალელიზმი. მრავალი სპორტული დაწესებულება არის როგორც უწყებრივ, ასევე ტერიტორიულ დაქვემდებარებაში. სპორტსაზოგადოებებს თავისი ობიექტები აქვთ, სპორტის დეპარტამენტს თავისი. სიმართლე უნდა ითქვას, ძველი რეჟიმისაკენ გადახრილ სპორტსაზოგადოებებს დღევანდელ სიტუაციაში გაუჭირდათ თავისი ადგილის პოვნა სპორტის მართვის კომპლექსში, მაგრამ ესეც დღევანდელი მძიმე მდგომარეობის გამოძახილია. მოკლედ, როგორც მთელი ქვეყანა, ისე დარგის მართვის სტრუქტურა, ჩამოყალიბების პროცესშია. ამასაც დროთა განმავლობაში მოევლება. სპორტის მართვაში ფეხს იკიდებს ჩვენთვის ახალი მიმართულება, რომელსაც პროფესიული სპორტი ჰქვია. საზღვარგარეთ ბიზნესმენები და კომერციული სტრუქტურები ხელს უწყობენ სპორტსმენებს და ეროვნულ ნაკრებ გუნდებს პროფესიულ დონეზე დაეუფლონ თავიანთ დისციპლინებს და მიაღწიონ საერთაშორისო მასშტაბის წარმატებებს. სამწუხაროდ, ჩვენთან ეკონომიკური არასტაბილურობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სპორტის მართვის ეს ახალი მიმართულება წარმატებული იყოს. ეჭვგარეშეა, ჩვენში პროფესიული სპორტი ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს.

● ***არის თუ არა იმის აუცილებლობა, რომ განისაზღვროს ქვეყანაში სტრატეგიული სპორტის სახეობები, როგორია თქვენი აზრი დიდი სპორტის განვითარებაზე?***

— აუცილებელია, რომ დამოუკიდებელი საქართველო გახდეს დიდი სპორტის ქვეყანა. თუ ეს აზრი მისაღებია სპორტის სპეციალისტებისათვის, ცხადია, სტრატეგიული სპორტის სახეობებიც უნდა განისაზღვროს. ამასთან, სულაც არ ვფიქრობ, რომ ჩემი მოსაზრება უალტერნატივოა. ჩემს საქმიანობაში ჩამომიყალიბდა ყველა საკითხისადმი პრაქტიკული მიდგომა და აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ძალიან მაგრად უნდა ჩავჭიდოთ ხელი სპორტის იმ სახეობებს, რომლებიც თავისთავად არსებობს და ვერანაირი კრიზისი მათზე მომაკვდინებლად ვერ იმოქმედებს. იქნებ ყველა ვერ ჩამოვთვალო, მაგრამ საქართველო ფეხბურთის, ჭიდაობის, კალათბურთის, ჭადრაკის, კრივის ქვეყანაა. იქნებ შემომედავონ, რა დააშავა, ვთქვათ, ველოსპორტმა, რომელმაც ომარ ფხაკაძე მოგვცა ან მძლეოსნობამ (შავლაყაძე, დუმბაძე, გოკიელი) ან სპორტის სხვა სახეობებმა, რომელთა ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებ. წყენა არ მინდა მივაყენო ვინმეს (თუნდაც მცხეთელ ნიჩბოსნებს), მაგრამ მაინც პრაქტიკული სიტუაციიდან უნდა გამოვიდეთ. როცა ერს გაერთიანება სჭირდება, როცა მეზობელ სახელმწიფოებთან მეგობრობის განმტკიცებაა საჭირო, ეს საკითხიც პოლიტიკური თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ და პრიორიტეტულად სწორედ ის სახეობები უნდა მივიჩნიოთ, რომლებითაც დაინტერესება მასობრივია. მოგეხსენებათ, ასეთ სახეობებს პოლიტიკის შექმნაც კი შეუძლია. ერის ერთიანობა ხომ ყველაზე მკაფიოდ სტადიონზე გამოჩნდება ხოლმე. ხომ შეიძლება დიდი წარმატებით გამოვიყენოთ თუნდაც კავკასიაში სტაბილურობის დამყარებისათვის. ქართველი და მეზობელი ქვეყნების მოჭიდავეთა მეგობრობა, ისევე როგორც ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენელთა ურთიერთობები ხომ ისტორიული რეალობაა.

● ***როგორ გესახებათ მომავალში სპორტის ეროვნული სახეობების განვითარება?***

— სპორტის ეროვნული სახეობები ჩვენი სიამაყე და სიმდიდრეა, სათუთად მოსაპყრობი საგანძურია. ფეხბურთი — ინგლისური, ჭადრაკი კი ინდური წარმოშობისაა, მაგრამ ყველა ქართველის აზრს გამოვხატავ თუ ვიტყვი, რომ ისინი ჩვენს ტემპერამენტს, მოხერხებულობას და გონიერებას საოცრად ესადაგება, ისინი ჩვენს ეროვნულ სახეობებად მიგვაჩნია. ცხადია, ცალკე აღნიშვნის ღირსია ქართული ჭიდაობა, ყველა თვისებასთან ერთად იგი ქართველი ვაჟკაცის რაინდულ სულსაც გამოხატავს — მოწინააღმდეგემ წაქცეულს ხელი არ უნდა ახლოს, ხოლო დამარცხებულმა პირველმა უნდა მიულოცოს გამარჯვებულს. სხვათა შორის, ეს რაინდული თვისებები ჩვენში აბსოლუტურად ყველა სფეროში შეიმჩნევა. თქვენ წარმოიდგინეთ, პოლიტიკაშიც კი. მე მინახავს ბევრი იაპონელი, რომელსაც თავის ეროვნულ სახეობაში — ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ქართული ილეთებით — კისრულით, შუა სარმით და ბრუნით მოუპოვებია. ეს ფაქტი კარგ ანალიზს და დასკვნას მოითხოვს.

● ***სიდნეიში ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენს სპორტსმენთა მონაწილეობის შესახებ საზოგადოებაში ორი აზრი მუსირებს — ერთნი ამბობენ, რომ მთავარია ოლიმპიადაში მონაწილეობა, მეორენი კი ამტკიცებენ, რომ მასში მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ იმ სპორტსმენებმა, რომლებიც ქვეყანას მედლებს მოუტანენ და სახელს გაუთქვამენ. ისინი იმასაც ვარაუდობენ, რომ ამით სახელმწიფოს ბიუჯეტიც დაეზოგება. თქვენ რას იტყოდით?***

— გაზეთში საკუთარი აზრის გამოთქმა სარისკოა და დაფიქსირებას მოითხოვს, მით უმეტეს იმ კრიტიკულ მომენტში, როცა საკითხი რაღაც არჩევანს ეხება. მე ორივე აზრი მისაღებად მიმაჩნია, რადგან ორივეს თავისი არგუმენტები აქვს. მაგრამ ვინ იცის, შეიძლება ერთ შემთხვევაში ერთი გადაწყვეტილება უფრო მომგებიანი იყოს, ვთქვათ, ეფექტურობის თვალსაზრისით, მაგრამ მეორე შემთხვევაში შედეგს არ გამოვეკიდოთ და უფრო მომავლისკენ გავიხედოთ — ბევრი მონაწილე ოლიმპიადაზე საქართველოდან, ეს ხომ სპორტსმენთათვის და მწვრთნელთათვის სტიმული და შრომის დაფასებაა, რაც მომავალი წარმატებების საწინდარი შეიძლება გახდეს. ერთი სიტყვით, სწორი გადაწყვეტილების მიღება სპორტის მესვეურთა და სპეციალისტთა პრეროგატივად მიმაჩნია.

● ***თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა კრიზისიდან გამოყვანის მიზნით სპორტში გარდაქმნები და რეფორმები?***

— რა თქმა უნდა, გარდაქმნები აუცილებელია, თუნდაც იმიტომ, რომ პროფესიულ სპორტზე თანადათანობით გადასვლასთან ერთად, გადასახედია საბაზრო ეკონომიკის ბერკეტების რეგულირება, რომელიც მეწარმეს ან კომერციულ სტრუქტურას დააინტერესებს გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინოს ნიჭიერ, პერსპექტიულ სპორტსმენს, ისევე როგორც ეს უნდა ხდებოდეს კულტურის, განათლების, მეცნიერების და სხვა სფეროებში. როცა გარდაქმნებზე ვსაუბრობთ, უპირველესად ქვეყნის ეკონომიკური მოწყობის სრულყოფაზე უნდა ვიზრუნოთ, აქედან გამომდინარე — ცალკეულ დარგებში გარდაქმნებსა და რეფორმებზე.

● ***და ბოლოს, ბატონო არმაზ, პირადად თქვენ, როგორც პოლიტიკოსი და პარლამენტარი ნაწილობრივ მიუძღვნით თუ არა თქვენს მოღვაწეობას ქართული სპორტის პობლემების გადაწყვეტას და რას გააკეთებთ მის გადასარჩენად?***

— პასუხებში, ვფიქრობ, ზოგადად მაინც წარმოვაჩინე ჩემი დამოკიდებულება იმ საკითხებისადმი, რომელიც მომავალში გადაწყვეტას საჭიროებს. მე შემიძლია დაგპირდეთ, რომ ერთგული ვიქნები ჩემი მოსაზრებების თუნდაც კონკრეტულად იმ ნაწილში, რომელიც სპორტის ეკონომიკურ და ფინანსურ უზრუნველყოფას ეხება. ძალიან ბევრია გასაკეთებელი. ალბათ, გადახედვას საჭიროებს არსებული საკანონმდებლო ბაზა. ამ აზრს დღევანდელ პარლამენტში ბევრი მხარდამჭერი ჰყავს და იმედი მაქვს ერთხელაც ჩამოყალიბდება შესაბამისი დღის წესრიგი და ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ქართული სპორტი, ჩვენს პოზიციას მტკიცედ დავიცავთ. ბოლოს, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გამოვთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ საშუალება მეძლევა ჩემთვის ძალიან საყვარელი გაზეთის ფურცლებზე მონაწილეობა მივიღო ქართული სპორტის გადარჩენის საკითხზე მსჯელობაში. „ლელოს“ თაობათა გაზეთად მივიჩნევ. მისასალმებელია, რომ „ლელო“ კვლავ რჩება საქართველოს სპორტული ცხოვრების თანამდგომ გაზეთად.

**P.S.** მაჟორიტარი დეპუტატის ამ მაჟორული ტონის შემდეგ, ალბათ უპრიანი იქნებოდა წერტილი აქ დამესვა და დიალოგიც დამემთავრებინა, მაგრამ რჩება ერთი პასუხგაუცემელი კითხვა — ბატონ არმაზ შამანაურს, როგორც მოქალაქეს და ქართველს თავად რა გაუკეთებია ქართული სპორტის საკეთილდღეოდ? რადგან ამ კითხვაზე მისგან თავაზიანი უარი მივიღე, იძულებული ვარ ჩვენი ურთიერთობებიდან გამომდინარე, გავიხსენო რამდენიმე ფაქტი, რომელიც, ვფიქრობ, ნაწილობრივ მაინც გახსნის „საიდუმლოს“. ბოლო 4-5 წლის განმავლობაში მცხეთის რაიონის სოფლებში, ბატონ არმაზის უშუალო მხარდაჭერით, ტრადიციად იქცა ზაფხულის პერიოდში ღია საჭიდაო მოედნებზე შეჯიბრებების ჩატარება ქართულ ჭიდაობაში, რის შედეგადაც არაერთი პერსპექტიული მოჭიდავე გამოვიდა წარმატებით რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ასპარეზზე. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ ძალისელმა მოჭიდავემ მირიან პავლიაშვილმა, რომელმაც ფეხი ძალისის ნახერხმოყრილ საჭიდაოზე აიდგა, ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა სამბოში ახალგაზრდებს შორის. ამას დავუმატებ იმასაც, რომ მისი გამგებლობის პერიოდში საქართველოს აბსოლუტურ ფალავნობაზე ქართულ ჭიდაობაში, ბატონ არმაზს ყოველთვის გამოუგზავნია მცხეთიდან სანდრო კანდელაკის სახელობის პრიზი და ფულადი პრემია... ეს, რაც მე ვიცი. დარწმუნებული ვარ მის საქველმოქმედო საქმიანობაზე ჩემზე მეტი სხვებმა იციან...

**იური იმერლიშვილი**



# ნბა 1/8 ფინალი (მატჩები 3 მოგებამდე)

*22 აპრილი:* მაიამი — დეტროიტი 95:85
შარლოტი — ფილადელფია 82:92
იუტა — სიეტლი 104:93
სან ანტონიო — ფინიქსი 70:72

*23 აპრილი:* ინდიანა — მილუოკი 88:85
ნიუ იორკი — ტორონტო 92:88
ლეიკერსი — საკრამენტო 117:107
პორტლენდი — მინესოტა 91:88

# ევროლიგა

მესამე ადგილისათვის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ: ეფეს პილსენი (თურქეთი) — ბარსელონა (ესპანეთი). ანგარიშით 75:69 გაიმარჯვეს თურქმა კალათბურთელებმა და დაეუფლნენ მესამე ადგილს.

ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ: პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — მაკაბი (ისრაელი). შეხვედრა დამთავრდა 73:67 **პანათინაიკოსის** გამარჯვებით. „ოთხთა ფინალის“ საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს პანათინაიკოსის კალათბურთელი **ჟ. რებრაჩა**, რომელმაც ფინალურ შეხვედრაში გუნდს 20 ქულა მოუტანა.

**ვეფხვია ჯალაღონია**

## ფორმულა-1 ბრიტანეთის გრან-პრი კულტჰარდმა მოიგო

დიდი ბრიტანეთის გრან-პრის ტრადიციული გათამაშება წლეულს პირველად შეიცვალა — ნაცვლად ივლისისა, იგი აპრილში გათამაშდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდისთვის ინგლისში ხშირი წვიმები იცის. გამონაკლისი არც ამჟამად იყო, რის გამო მრბოლთა შედეგებზე ვარაუდის გამოთქმაც კი სარისკო გახდა. კვალიფიკაციამ, ყველასთვის მოულოდნელად, ფერარის პილოტმა, ბარიკელომ მოიგო, მაკლარენის პილოტებმა მესამე და მეოთხე შედეგი აჩვენეს. მთავარ რბოლაში მიხაელ შუმახერმა სტარტი მეხუთე პოზიციიდან აიღო. მანქანები მძიმედ მოძრაობდნენ, რადგან საწვავით სავსე ავზებით ჩაერთვნენ რბოლაში. ბარიკელოს კულტჰარდმა გადაასწრო, მერე მას მანქანაც მოუცურდა და ასპარეზობას 35-ე წუთზე გამოეთიშა. რბოლას სათავეში მოექცნენ მაკლარენის პილოტები კულტჰარდი და ჰაკინენი. კულტჰარდს ამჯერად არ უცდია ჰაკინენისთვის დაეთმო და ფინიში პირველმა გადაკვეთა. ბრიტანეთის გრან-პრი მან მეორედ მოიგო. ჰაკინენი მეორე ადგილს დასჯერდა. საერთო ჩათვლაში კი მიხაელ შუმახერი ლიდერობს.

# რა ხდება ქვეყანაზე

## დაუოკებელი ბრაზილიელი მასაჟისტები

ალბათ გახსოვთ, ფეხბურთში სამივე მსოფლიო ჩემპიონატის „გმირი“, ბრაზილიელები რომ იმარჯვებდნენ, ტყავის ბურთის ჯადოქრებთან ერთად. არანაკლებ პოპულარული გახდა გუნდის მასაჟისტი ამერიგო, როგორც კი სამივე მატჩის საფინალო სასტვენი გაისმოდა, შურდულივით მიჰქროდა მინდვრის ცენტრში და არბიტრს ხელიდან სტაცებდა თანამემამულეთათვის ოქროს მედლების მომტან ბურთს.

ამას წინათ, მსგავსი „მაშველის“ როლში გამოვიდა ბრაზილიის კლუბ „ქუაზეიროს“ მასაჟისტი რაიმუნდო საბინო. „სეარა“ — „ქუაზეიროს“ მატჩის 41-ე წუთზე (სტუმრები თამაშს აგებდნენ 1-3) „სეარას“ მოთამაშე ვალდირი გაიჭრა მეტოქის ნახევარზე და კარიდან 30 მეტრზე შეეჯახა წინ გამოსულ მეკარეს, იგი დაშავდა, ვალდირმა კი, მიუხედავად ამისა, ბურთი ცარიელი კარისკენ გაგზავნა. მაგრამ ბოლო მომენტში მინდორზე გავარდა საბინო და ზედ კარის ხაზზე ბურთს გადაუღობა გზა. გაოცებულმა მსაჯმა მინდვრიდან გააძევა „გამჭრიახი“ მასაჟისტი, მაგრამ არც გოლი აღუნიშნავს და არც 11-მეტრიანი დანიშნა. შტატის სპორტულმა ტრიბუნალმა კი — კლუბიც და მისი გადამრჩენიც დაუსჯელი დატოვა.

# ჩოგბურთის ამბები

## ანდრე აგასი — „1999 წლის მოთამაშე“

მონტე-კარლოში გაიმართა საზეიმო საღამო, სადაც დააჯილდოვეს შარშანდელი სეზონის საუკეთესო ჩოგბურთელები.

მთავარი პრიზი „1999 წლის მოთამაშე“ მიიღო ანდრე აგასიმ (აშშ). საინტერესოა, რომ ეს ჯილდო მანამდე ზედიზედ ექვსჯერ მიიღო აგასის თანამემამულემ პიტ სამპრასმა. ინდოელებმა მახეშ ბხუპატიმ და ლეანდერ პაესმა მიიღეს საუკეთესო წყვილის პრიზი. ავსტრალიელ პატრიკ რაფტერს მიენიჭა სტეფან ედბერგის პრიზი პატიოსანი თამაშისათვის.

ანდრე აგასი

ეკვადორელი ნიკოლას ლაპენტი დაჯილდოვდა როგორც მოთამაშე, რომელმაც წლის განმავლობაში ყველაზე მეტ პროგრესს მიაღწია. იგი 92-ე იყო, ახლა კი მერვე გახდა — გასაოცარი წარმატებაა. აღინიშნა კრის ვუდრაფის (აშშ) შედეგიც. მან 1998 წლის მთელი სეზონი გამოტოვა მძიმე ტრავმის გამო. შარშან კი უძლიერეს მოთამაშეებს დაუბრუნდა. ესპანელი ახალბედა ხუან კარლოს ფერერო წლის საუკეთესო ახალბედად ჩაითვალა. აღინიშნენ ის ჩოგბურთელებიც, რომლებმაც საიუბილეო ტურნირები მოიგეს: ესპანელმა ალბერტო კოსტამ მეათე, ევგენი კაფელნიკოვმა (რუსეთი) — მეოცე, აგასიმ — მეორმოცე, სამპრასმა — მესამოცე.

## „როლან გაროსისათვის“ ემზადება

**ფრანგული „როლან გაროსი“ „დიდი მუზარადის“ ერთადერთი ტურნირია, სადაც ოლიმპიურ ჩემპიონ ლინდსეი დევენპორტს (აშშ) არასოდეს გაუმარჯვია:**

**— შემიძლია წარმატებას მიწის კორტებზეც მივაღწიო. არა „მიწის მოთამაშე“ არასოდეს ვიქნები, ეს ჩემი სტილი არ არის. არ მიყვარს საათობით ვარჯიში მიწის კორტებზე. რა ვქნა, აქ თავს ვერ ვაიძულებ. და ყოველივე ამის მიუხედავად, ვაპირებ „როლან გაროსზე“ წარმატებით გამოსვლას.**

## როცა ყველას დაავიწყდა, თვითონ ალაპარაკდა

**ჩილელ მარსელო რიოსს, რომელიც ადრე მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელად ითვლებოდა, ჟურნალისტები მეტად უკმეხ პიროვნებად თვლიდნენ და ბოლოს მასთან თითქმის ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს.**

**ახლა, სამაგიეროდ, თვით რიოსი ალაპარაკდა, რომელმაც თქვა, რომ ძალიან ბევრს ვარჯიშობდა და მალე ორი წლის წინანდელივით ითამაშებს.**

## კვლავ ყველაზე მომხიბლავი

ინტერნეტის პოპულარულ საიტის Jennus Express-ის გამოკვლევით, ანა კურნიკოვა კვლავ აღიარეს ყველაზე მომხიბლავ ჩოგბურთელ არსებად. რაც შეეხება ვაჟებს, აქ ალექს კორეტჯამ (ესპანეთი) სულ ცოტათი გაუსწრო ნიკოლას კიფერს (გერმანია).

ანა კურნიკოვა

# „ტოტო-ლოტო“

## მე-15 ტირაჟის შედეგები 23.04.2000

### ლოტო 6-42

**5 12 23 29 32 35**

გათამაშებაში მონაწილეობდა 9123 ვარიანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 x | 24 458.70 ლ. | გადადის მე-16 ტირაჟზე |
| 5 რიცხვი | 0 x | 357.30 ლ. | გადადის მე-16 ტირაჟზე |
| 4 რიცხვი | 15 x | 15.20 ლ. | |
| 3 რიცხვი | 216 x | 1.80 ლ. | |

### სუპერ 7

**9 2 8 2 4 7 3**

| | | | |
|---|---|---|---|
| 9282473 | 50 000 ლარი | 473 | 50 ლარი |
| 282473 | 15 000 ლარი | 73 | 3 ლარი |
| 82473 | 5 000 ლარი | 3 | 50 თეთრი |
| 2473 | 500 ლარი | | |

### „ტოტო-ფეხბურთი“ 12 მატჩი

**2XX 12X 2X1 121**

გათამაშებაში მონაწილეობდა 3683 ვარიანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 x | 5000.00 ლ. | გადადის მე-16 ტირაჟზე |
| 11 შედეგი | 3 x | 117.80 ლ. | |
| 10 შედეგი | 32 x | 11.00 ლ. | |

### „ტოტო-ფეხბურთი“ 11 მატჩი

**010 111 121 01**

გათამაშებაში მონაწილეობდა 1717 ვარიანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 შედეგი | 0 x | 71.40 ლ. | ჯეკ-პოტი 1000 ლარი |
| 10 შედეგი | 2 x | 35.70 ლ. | |
| 9 შედეგი | 22 x | 3.20 ლ. | |

## მე-16 ტირაჟის პროგრამა 29-30 აპრილი

### „ტოტო-ფეხბურთი 12“

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. ინგ. | ტოტენჰემი | - | მანჩესტერი | 20-20-60 |
| 2. ინგ. | ევერტონი | - | არსენალი | 20-40-40 |
| 3. ინგ. | ჩელსი | - | ლივერპული | 40-30-30 |
| 4. იტ. | ვერონა | - | იუვენტუსი | 20-20-60 |
| 5. იტ. | პარმა | - | ინტერი | 20-40-40 |
| 6. იტ. | ბარი | - | რომა | 30-30-40 |
| 7. გერ. | [illegible] | - | ულმი | 60-20-20 |
| 8. გერ. | უნტერჰახინგი | - | ვერდერი | 20-40-40 |
| 9. გერ. | ჰამბურგი | - | ლევერკუზენი | 30-40-30 |
| 10. ესპ. | სარაგოსა | - | ბილბაო | 60-20-20 |
| 11. ესპ. | სოსიედადი | - | მალაგა | 40-40-20 |
| 12. ესპ. | ესპანიოლი | - | რეალი | 30-30-40 |

### „ტოტო-ფეხბურთი 11“

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. ინგ. | [illegible] | - | ლიდსი | 20-20-60 |
| 2. ინგ. | ბრედფორდი | - | უიმბლდონი | 40-30-30 |
| 3. იტ. | კალიარი | - | ბოლონია | 20-30-50 |
| 4. იტ. | ლაციო | - | უდინეზე | 50-30-20 |
| 5. გერ. | შტუტგარტი | - | [illegible] | 60-20-20 |
| 6. გერ. | შალკე | - | მიუნხენ 1860 | 20-40-40 |
| 7. ესპ. | სელტა | - | დეპორტივო | 20-40-40 |
| 8. ესპ. | რაიო ვალიეკანო | - | ვალენსია | 30-30-40 |
| 9. [illegible] | [illegible] | - | [illegible] | 20-20-60 |
| 10. [illegible] | [illegible] | - | [illegible] | 30-40-30 |
| 11. [illegible] | [illegible] | - | [illegible] | 40-40-20 |

მე-16 ტირაჟის [illegible] 28 აპრილის ჩათვლით.

# ჭადრაკის ამბები

## ბევრ ასეთ სეანსს გამართავს

**გარი კასპაროვი ინტერნეტის ქსელით არაერთ ერთდროული თამაშის სეანსს გამართავს.**

**ერთ ასეთ სეანსში, მაშინ, როცა თვით კასპაროვი ნიუ-იორკში იმყოფებოდა, მონაწილეობდა 30 ნორჩი მოჭადრაკე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. მათთან კავშირი ტექნიკური თვალსაზრისით პირდაპირ იდეალური იყო (მხოლოდ ერთ პარტიაში დებიუტის შემდეგ კავშირი დაირღვა, მაგრამ შემდეგ მალე აღსდგა).**

**კასპაროვმა მართლაც რომ დიდებულ შედეგს მიაღწია: მან მოიგო 29 პარტია და ერთადერთი შეხვედრა დაასრულა ყაიმით. 12 წლის ებრაელ გოგონა ვიქტორია ზაქსთან.**

## რა თქმა უნდა, კასპაროვს დარჩება!

სულ მალე უნდა გამოცხადდეს საჭადრაკო პრიზ „ოსკარის“ კონკურსის შედეგები, რომელშიც „ლელოს“ წარმომადგენელიც მონაწილეობს.

„რა თქმა უნდა, „ოსკარი“ კასპაროვს დარჩება“ — ასე ფიქრობს მოსკოვის ყოველკვირეული „64“.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

სპორტი ცისფერ ეკრანზე
25 - 27 აპრილი

**25 აპრილი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** საფეხბურთო მიმოხილვა (14.30), ***კავკასია.*** „სპორტის სამყარო“ (18.00), „ვარსკვლავები“ (21.00), ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის (13.15, 19.35), ესპანეთის (15.00, 23.10,), გერმანიის (16,45), ბრაზილიის (სან-პაულუ, 20.30), ჩემპიონატები და მიმოხილვა. „ევრო-2000“-ის ჩემპიონატის გზები. (22.15). ***НТВ плюс спорт.*** ფრენა საჰაერო ბურთებით. მსოფლიო ჩემპიონატი (13.10), კარატე. რუსეთის ჩემპიონატი (14.40), ***ESPN.*** ფეხბურთი: ჰოლანდიის ჩემპიონატი აიაქსი — ფეიენოორდი. (13.00), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (17.30), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლი (16.00). ძალოსნობა. ევროპის პირველობა (19.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (1.00).

**26 აპრილი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. რეპორტაჟი ბათუმიდან (16.00). ***II არხი.*** რაგბის მოყვარულთათვის (12.35), ***კავკასია.*** „სპორტის სამყარო“ (18.00), „ვარსკვლავები“ (21.00), ***საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი (23.30). ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის (15.00), ინგლისის (16.00), ბრაზილიიდან: (სან-პაულოს, 17.15. მიმოხილვა — 19.15, რიო-დე-ჟანეიროს — 22.45), გერმანიის (0.30) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (4.30, 7.00, 18.00, 18.00, 21.00), ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი: აიაქსი — ფეიენოორდი (0.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროპული (11.30), ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი (19.30), ფეხბურთი. „ევრო-2000“-ის ჩემპიონატის გზები (2.00).

**27 აპრილი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „დრიბლინგი“ (12.15), კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი, რეპორტაჟი ბათუმიდან (16.00), ***კავკასია.*** „სპორტის სამყარო“ (18.00), „ვარსკვლავები“ (21.00). ***НТВ плюс футбол.*** ბრაზილიიდან: (რიო-დე-ჟანეიროს 13.15, 20.50), იტალიის (15.05), ბრაზილიის ჩემპიონატის მიმოხილვა (16.45), რიო-დე-ჟანეიროს (20.50), ჰოლანდიის (23.00), ესპანეთის (0,45), ინგლისის (1.15) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი (11.05). კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (23.25), ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერ-ლიგის მიმოხილვა (17.30), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (22.00), ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. მსოფლიო პირველობის გრან-პრი (11.30), ფეხბურთი (13.00, 1.00, „ევრო-2000“-ის გზები), ძალოსნობა. ევროპის პირველობა (19.30).



## კროსვორდი №33

**თარაზულად:** 5. წარსულში ცნობილი ქართველი ფალავანი, 6. ფეხბურთელი — ჩილეს ნაკრების თავდამსხმელი, 8. ქართველი მოჭადრაკე ქალი, დიდოსტატი, 9. ცომის საფხეკი, 11. ტაბრკოლებით რბენის ინვენტარი, 13. მონაცემების შესავსები, გამოკითხვის ბლანკი, 18. სარბენი წრე სტადიონზე, 20. ვეტერანი ფრანგი ფეხბურთელი — მცველი, 21. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 22. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 23. ისტორიული წარღვნის თავშესაფარი, 24. ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელი.

**შვეულად:** 1. ბერძნულ მითოლოგიაში დედალოსის შვილი, 2. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ყოფილი მწვრთნელი, 3. ხარების ბრძოლა, 4. წმინდა მოგება კრივში, 7. წარსულში ცნობილი მოჭადრაკე მამაკაცი, 10. მოძრაობის ფაზა მძლეოსნობაში ხტომისას, 11. დგარზე გადებული საგანი სიმაღლეზე ხტომაში, 12. საგანმანათლებლო კერა ძველ საქართველოში, 14. ცნობილი საკალათბურთო კლუბები ბალტიისპირეთში, 15. ჰოლანდიელთა მწვრთნელი ფეხბურთში 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, 16. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 17. ხორვატიის საფეხბურთო კლუბი, 19. კომუნისტთა ბელადის სახელი, 21. შრიფტი უსინათლოებისათვის.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 6. კომენტატორი, 7. ყარაჩაი, 8. შუკერი, 11. ყარაული, 12. დგარი, 13. ტალანტი, 16. კლუივერტი, 17. მელაშვილი, 20. სელტიკი, 24. აფენი, 25. ანაკლია, 26. ელბერი, 27. შილტონი, 28. უნივერსიადა. **შვეულად:** 1. კოლუმბი, 2 ინტრიგა, 3. ორბელიანი, 4. ფალკაო, 5. ყაველაშვილი, 9. ლახტი, 10. ტრეზორი, 14. ალექსანდრია, 15. ფლეიოფი, 18. ბაკურიანი, 19. შელია, 21. ინგლისი, 22. მადრიდი, 23 სკონტო.

## საჭადრაკო ამოცანა

### ო. მამულაშვილი

(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

1. ე:d5! 1. ...მფc3 2. ეb5 d3 3. კe5X.
2. ...მფd3 3. ეb3X.
1. ...მფe3 2. ეf5 d3 3. კc5X.
2. ...მფd3 3. ეf3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.